ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 17 მაისი 1996 № 38 (263) ფასი 40 თეთრი



## ქეცბაია თასის მფლობელია

### ბერძნებს კი თამაში აუკრძალეს

გუშინწინ კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა შეძლო უცხო ქვეყნის თასს დაუფლებოდა. თემურ ქეცბაიას აეკმა საბერძნეთის თასის ფინალში „აპოლონი" გაანადგურა — 7:1. ამ მატჩში ჰეთ-თრიქი ტრასტასმა შეასრულა, ბატისტამ დუბლი გააჩერხა, კოსტისმა და თემურმა კი თითო იმყოფინეს. ამ სასიხარულო ცნობას ერთი გაურკვევლობაც დაერთო. საქმე ისაა, რომ ფიფამ მისი წესების შეუსრულებლობისათვის ბერძნულ კლუბებსა და ნაკრებ გუნდებს ყველანაირ საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრში ასპარეზობა აუკრძალა. ჩვენებურს, მართალია, კონტრაქტი 2-1 პრინციპით აქვს დადებული, მაგრამ შესაძლოა, მის გადასინჯვაზე საქმე არც მიდგეს, რადგან საერთაშორისო ასოციაციამ ბერძნებს საზღვარგარეთული ტრანსფერების წარმოების უფლებაც ჩამოართვა.

თურმე, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას თავისი ახალი წესდება ორი წელია ქვეყნის მთავრობისთვის ჰქონია წარდგენილი, მას კი დამტკიცება აქამდე გაუჯანჯლებია. ფიფა თვლის, რომ ვიდრე ფედერაციას ქვეყნის მთავრობა არ ცნობს, მას არც საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობის უფლება ექნება.

ორშაბათის ამ მკაცრ დადგენილებას საბერძნეთის მავრობა შეუფუცხუნებია. ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილე მომავალ კვირას პარლამენტის წინაშე უნდა წარსდგეს და ფედერაციის უცოდველობა ამტკიცოს.

საბერძნეთის მთავრობის პრესცენტრის უფროსი დიმიტრის რეპასი იმედოვნებს, რომ ეს პრობლემა ცოტა ხანში ბერძენთა ფედერაციის სასარგებლოდ გადაწყდება და ევროთასების კენჭისყრასა და ბოსნიასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე მოგვარდება.

## „დინამო" მეშვიდედ!

მატჩის შემდეგ დინამოელთა მორიგი გაჩემპიონება ყველამ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვა. იყო შინაურული მილოცვები, ფოტოაპარატის ჩხაკუნი და ამისთანები. მილოცვა და ორიოდ კითხვაც დავით ყიფიანმა ჩვენგანაც მიიღო:

**— პირველ რიგში, გილოცავთ ჩემპიონობას. წელს, წინა სეზონთან შედარებით, ჩემპიონობის მოპოვება უფრო გაგიადვილდათ.**

— სხვა გუნდები დასუსტდნენ და ამის წყალობით გავხდით პირველნი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ, ჟურნალისტები ამ აზრისა ხართ...

**— არ გვეთანხმებით?**

— არა!

**— ესე იგი, „დინამოს" კონკურენტები არ დასუსტებულან?**

— ჩვენგანაც კი წავიდა 14 კაცი. გასაკვირია, ამხელა განსხვავება რატომ უნდა იყოს? როცა ჩვენი კონკურენტები ძლიერები იყვნენ, 2-3 ქულით ვუგებდით. ახლა 10-14 ქულით ვჯობნით.

**— ასეთი დონე გაკმაყოფილებთ?**

— რა თქმა უნდა, არა!

**— მდგომარეობის შეცვლა როგორ გესახებათ?**

— მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფეხბურთს რეგიონებში, საწვრთნელ პროცესს დახვეწა სჭირდება, მწვრთნელთა კვალიფიკაცია ასამაღლებელია. ბევრი რამ არის გამოსასწორებელი.



იაშვილმაც ორი გოლი გაიტანა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

### დინამო 5:0 ივერია

დინამო: ჭანტურია, კობიაშვილი, ლობჯანიძე, დიდავა (კალაძე 63), მაჭავარიანი, ცქიტიშვილი, ინალიშვილი, ყიზილაშვილი (კიკნაძე 72), დემეტრაძე, ხომერიკი (კერძევაძე 56), იაშვილი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ზირაქაძე 55), ტყემალაძე, ჩადუნელი (გლუნჩაძე 46), ლომიძე (მელაძე 80), კაციაშვილი, ბუხრიკიძე

1:0, 2:0 დემეტრაძე (5, 24 პ), 3:0 ცქიტიშვილი (67), 4:0, 5:0 იაშვილი (77, 89)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

„დინამომ" იოლად მოიგო და ჩემპიონიც გახდა. ამ დღეს ყიფიანმა, ფაქტიურად, ოთხი თავდამსხმელი გამოიყვანა: ყიზილაშვილი, დემეტრაძე, ხომერიკი და იაშვილი. მართალია, დემეტრაძეს მთელი მარჯვენა ფრთის კონტროლი ევალებოდა, მაგრამ გიორგის მაინცდამაინც დიდი ჯაფა წინ და უკან სირბილში არ დასდგომია, ეს, უბრალოდ, არც დასჭირვებია. ჰოდა, დინამოელთა ცხრა ნომერმაც გაილაღა: გუნდებს ხეირიანად სალამიც არ ეთქვათ, რომ დემეტრაძემ კობიაშვილის ჩაწოდებულს თავით ზუსტად შეურჩია ადგილი ხაშურელთა კარში.

წინა მატჩებთან შედარებით, კარგად გამოიყურებოდა ყიზილაშვილი, მან პენალტიც გააჩერხა, რომელიც დემეტრაძემ უნაკლოდ დაარტყა.

სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეუქმნეს ხიფათი ჭანტურიას — კაციაშვილმა წინ გამოსულ მეკარეს თავით ბურთი თავზე კი გადააცილა, მაგრამ ააცილა.

მეორე ნახევარში შემოსულმა კერძევაძემ და კიკნაძემ თამაში გამოაცოცხლეს. „დინამომ" კიდევ სამი გოლი შეაგდო და თამაშიც და სეზონიც ლოგიკურად ანუ ჩემპიონის რანგში დაასრულა.

მამუკა კვანტალიანი

## დევაძე — რუსეთიდან. ნემსაძე — რუსეთში. ფოცხვერია — ურუსეთოდ



თითქმის მთელი სეზონია, საქართველოს ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე როსტოვული კლუბის სათადარიგოთა სკამზე ზის. ვარჯიშებზეც ცალკე, თავისთვის ირჯება. ჩვენი კორესპონდეტი მამუკა კვარაცხელია მოსკოვში ყოფნისას შეხვდა „როსტსელმაშის" მწვრთნელს სერგეი ანდრეევს და მისგან ასეთი პასუხი მიიღო, დევაძე იმიტომ არ გამომყავს ძირითადში რომ ძალიან სუსტად ითამაშა და ცუდ ფორმაშია, თუმცა მის გაშვებას არ ვაპირებ, თუ თვითონ არ წავიდაო. დევაძე, ეტყობა, მართლაც ფიქრობს როსტოვიდან წასვლაზე. როგორც მისმა მენეჯერმა, თბილისელმა ბერძენმა ვოვა ჩერქეზოვმა განაცხადა, ეცდება კაკოს პორტუგალიაში („პორტო", „სპორტინგი") ან საბერძნეთში (ათენის რომელიმე კლუბი) გადასვლაში შეუწყოს ხელი. სხვათა შორის, ვოვა ჩერქეზოვი ზაპოროჟიელ მიხეილ ფოცხვერიას (მას რუსები მიხაილ პაცხვერიად იხსენიებენ) მენეჯერიც ყოფილა, სწორედ მისი მეშვეობით



გაუტარებია 22 წლის ფორვარდს სამი კვირა ბრემენის „ვერდერში". ახლა, თურმე, ფოცხვერიას უკრაინის ნაკრებიც ეპატიჟება, რომლისთვისაც უკვე ორჯერ უთქვამს უარი, და რუსეთის ნაკრებიც, მაგრამ მიხეილი პასუხობს: მე ქართველი ვარო.

მოსკოვის ცსკა-ს მთავარ მწვრთნელს ტარხანოვს „ნემსაძის საქმისათვისაც" მოუფენია ნათელი. მისი თქმით, გიორგის უკვე მოლაპარაკებია და მაისის ბოლოს მოსკოვში ჩასვლაზე დაუთანხმებია.

## გუშინ ხახალეიშვილი ოქროს მიუახლოვდა

### ლობჟანიძე კი ბრინჯაოს

მერაბ რატიშვილი ჰააგიდან

გუშინ ჰააგაში დაიწყო ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი. სანამ უშუალოდ შერკინებებზე გადავიდოდე, იმას მოგახსენებთ, რომ შეჯიბრება ჰოლანდიაშია თუ რუანდაში, ვერაფრით გაიგებ. „კუტრუსტ ხალენი", სადაც ჩემპიონატი ტარდება, ერთი დიდი ბოსელის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიბინძურეს თავი რომ დავანებოთ, პრესცენტრში არც მაგიდებია, არც ფურცლები, არც ტელეფონები მუშაობს. ფაქსის აპარატები, როცა ამ რეპორტაჟს ვწერ, ჯერ არ დაუდგამთ. კაცმა არ იცის, საერთოდ თუ დადგამენ და არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს...

თუმცა, გვეყო წუწუნი და საქმეზე გადავიდეთ. გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ მძიმე, 95, 86 და 78 კგ-ის ძიუდოისტები. თითოეულ წონაზე ცალცალკე მოგახსენებთ.

მძიმე წონა. დავით ხახალეიშვილის ძირითადი მეტოქეები ფრანგი დავიდ დუიე და გერმანელი პეტერ მიულერი ჰააგაში არ ჩამოსულან. პირველს ნეკნი აქვს გატეხილი, მეორე კი გადაღლილა და ოლიმპიადის წინ დასვენება გადაუწყვეტია.

დათო პირველ წრეში გერმანელ რალფ კოსერს შეხვდა. თავიდან მეტოქემ ორჯერ სცადა ჩახტომა და მისი ამ აქტიურობისთვის ხახალეიშვილი შიდოთი გააფრთხილეს. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი არ აღელვებულა, მოთმინებით ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს და მოესწრო კიდეც: გერმანელს მორიგი გაფაფხურებისას ფეხი დაუცველი დარჩა, დათომაც არ აპატია და იუკოზე დაადგდო. შემდეგ კოსერს არასწორი ჩავლებისთვის შუი მისცეს და შეხვედრაც ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა.

მეორე წრეში ხახალეიშვილს ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრუ ლუნგუ შეხვდა. მე-40 წამზე ორივე გააფრთხილეს, ხოლო მოგვიანებით დათო უმაღლესი გაფრთხილებით კეი-კოკუთი დააჯარიმეს. ამ დროს ტაბლო გამოირთო და, ცხადია, ნებისმიერ ძიუდოისტს ორიენტირება გაუჭირდებოდა... ოღონდ არა ხახალეიშვილს: მან ჯერ იუკო აართვა რუმინელს და შემდეგ მის შებოჭვასაც ცდილობდა.ამ მომენტში ჩვენებურს შუბლი გაეკაწრა და ექიმებმა სისხლდენის შესაწყვეტად თავი შეუხვიეს. დრო ცოტა რჩებოდა, ხოლო ლუნგუ იგებდა. ხახალეიშვილი გააქტიურდა, რუმინელს შეუტია, ამან კი ტატამიდან გაქცევა დაიწყო. მსაჯებმა მას ჯერ ჩუი მისცეს, შემდეგ კეი-კოკუ და შერკინებაც დასრულდა. იუკოს ხარჯზე დათომ მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. ეს შეხვედრა მას ხვალ ექნება, მისი მეტოქე კი უნგრელი იმრე ჩოსი იქნება. მეორე ნახევარფინალში გათურქებული ჩეჩენი სელიმ თათაროღლუ და რუსი სერგეი კოსოროტოვი იჭიდავებენ.

95 კგ. მევლუდ ლობჟანიძემ პირველ წრეში დაისვენა, მეორეში კი იმისთანა მეტოქე შეხვდა, მტერს და ავს. უეჭველმა ფავორიტმა, პოლონელმა მსოფლიოს ჩემპიონმა პაველ ნასტულამ ბოლო წამებზე შებოჭა ჩვენი მოჭიდავე და წმინდად მოიგო.

ცხადია, ნასტულა ნახევარფინალში გავიდა და ლობჟანიძეს, როგორც მასთან დამარცხებულს, დამამშვიდებელ ტურნირში ჩაბმის უფლება მიეცა. მევლუდს ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ქულების დაგროვება სჭირდებოდა და საქმესაც გულმოდგინედ შეუდგა. ფინელ ტიმო პელტოლას ორი ვაზარი გაუკეთა და წმინდად მოუგო. მისი შემდეგი მეტოქე იყო რუმინელი ივან რადუ, ვინც ლობჟანიძეს ერთი თვის წინ ჰერცოგენბოსის ტურნირზე მოუგო. ამჯერად სიტუაცია აღარ განმეორდა: მევლუდმა ილეთი წამოიწყო, რუმინელმა კონტრილეთით ჩვენებურის ბრუნით გადაგდება მოინდომა, მაგრამ ლობჟანიძემ ფეხების შემოხვევა მოასწრო და რადუ თავისსავე ილეთზე წმინდად დაეცა. ამრიგად, ლობჟანიძემ ლიცენზიისთვის საჭირო ქულები დააგროვა (მისმა უახლოესმა მდევრებმა პირველსავე წრეში წააგეს), გაოლიმპიელდა და ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის აგრძელებს ბრძოლას. ხვალ მისი პირველი მეტოქე ბელარუსი ლეონიდ სვირიდი იქნება. თუ ამას მოუგებს, შემდეგ შეხვედრას უკვე მესამე ადგილისთვის იჭიდავებს. ამ წონაში ნახევარფინალებში იჭიდავებენ ნასტულა — გოსლენ ლემერი (საფრანგეთი), დიმიტრი სერგეევი (რუსეთი) — პედრო სოარეში (პორტუგალია).

86 კგ. გიორგი წმინდაშვილმა პირველ შეხვედრას 40 წამი მოანდომა. ლუქსემბურგელი რუდი ფრანა ჯერ ვაზარიზე დააგდო, მერე კი — იპონზე. გიამ ლაღად დაიწყო ჭიდაობა გერმანელ სვენ ჰელბინგთანაც, მაგრამ ზუსტად ერთი წუთის შემდეგ გერმანელმა ფეხი ამოუსვა ქართველ ფალავანს და წმინდად მოიგო. სამწუხაროდ მერე თავად ჰელბინგიც დამარცხდა და წმინდაშვილი ტურნირს გამოეთიშა. ხვალ ნახევარფინალში იჭიდავებენ: რომან მაშურენკო (უკრაინა) — მარკ ჰუსინგა (ჰოლანდია), ოლეგ მალცევი (რუსეთი) — ადრიან კროიტორუ (რუმინეთი).

78 კგ. სოსო ლიპარტელიანმაც ბრწყინვალედ დაიწყო. ანდორელ ხავიერ ნუეზს 17 წამში მოუგო, ლიტველ რობერტას რიმასს — ორ წუთში. მესამე წრეში ლიპარტელიანი მსოფლიოს მესამე პრიზიორს, ფრანგ ჯამალ ბურას შეხვდა. დასაწყისშივე სოსომ ალალ ვაზარიზე დააგდო მეტოქე, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა შარი მოსდო — გდება ტატამის გარეთ შესრულდაო. ლიპარტელიანი არც მერე გაჩერებულა — რამდენჯერმე ფრანგის ფეხიდან აყვანას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. გამოცდილი ბურა მომენტს ელოდა და, როცა სოსოს მისი ხელი ორი მხრიდან ჰქონდა ჩავლებული, სწრაფად დაწვა და ლიპარტელიანი ზურგსუკან გადააგდო. იპონმა არ დააყოვნა.

ბურა ნახევარფინალში გავიდა და ლიპარტელიანმაც დამამშვიდებელ ტურნირში დაიწყო ჭიდაობა. მას რუსი კონსტანტინ სავჩიშკინი შეხვდა. სოსომ აქაც აქტიურად დაიწყო — რუსი გააფრთხილებინა. მერე ერთი ფეხი დაუჭირა, მეორეში კი ხელი გამოჰკრა — იუკო. ეს იყო და ეს. ჩვენს ფალავანს დაღლა დაეტყო — თავი იჩინა იმან, რომ ლიპარტელიანმა ორ დღეში 6 კილოგრამი ფორსირებულად დაიკლო. სავჩიშკინი კისრულზე ჩაუხტა ჩვენებურს და იუკო დაიმსახურა. მერე ზუსტად იგივე ილეთისვის ვაზარი აილო. ბოლო წამებზე კი რუსი შებოჭვაზე გადავიდა და გასავათებულმა სოსომ ველარაფერი ილონა — იგი ტურნირს გამოეთიშა. ნახევარფინალები: ბურა — ირაკლი უზნაძე (თურქეთი), სერგეი კუხარენკო (ბელარუსი) — ოლეგ კროუტული (მოლდოვა).

## საქართველოს ჩემპიონატი

XXVII ტურის მიმოხილვა

# სენაკს ავტობუსი გაუფუჭდა და ყვარელს მიჰყვა

### დურუჯი 3:0 ეგრისი

სენაკის „ეგრისი" ყვარელში თამაშზე არ ჩასულა, ამიტომ, ბუნებრივია, წაგება ჩაეთვალა. გარდა ამისა, თუ მასპინძელი გუნდისადმი უპატივცემლობაც დაუმტკიცდებოდა, მაშინ ფინანსურ სასჯელსაც ვერ ასცდებოდა.

ყველაფერი მალე გაირკვა. გუნდი თამაშის დღეს სამეგრელოდან დილაადრიან გამომგზავრებულა, მაგრამ რიკოთის უღელტეხილთან ავტობუსი გაფუჭებულა და მისი შეკეთებისთვის სენაკელებს მთელი ოთხი საათი მოუნდომებიათ. თბილისში



„ეგრისს" ბოჯგუამაც ვერ უშველა

ისინი მხოლოდ შუადღის ოთხ საათზე ჩამოვიდნენ და პირდაპირ ფეხბურთის ფედერაციას მიაშურეს, რადგან 17 საათზე ყვარელში უნდა ეთამაშათ, ხოლო ამ დროისთვის იქ ვერანაირად ვერ მოხვდებოდნენ. ფედერაციაში ვერავინ უნახავთ, ან, რომც ენახათ, ვინ და როგორ დაეხმარებოდათ, რადგანაც ამ დღეს ტურის თამაშები იყო და ფედერაციის თანამშრომლები განრიგით დანიშნულ მატჩებზე იყვნენ გამწესებულნი. ეგრისელებიც ამდგარან და პირდაპირ „შევარდენის" სტადიონზე მისულან, სადაც თბილისური გუნდი „კოლხეთს" მასპინძლობდა. მატჩის კომისარი უშანგი ფურცელაძე გაკვირვებული დარჩენილა, „ეგრისი" ყვარლის ნაცვლად თბილისში რომ უხილავს.

აღსანიშნავია, რომ სენაკელებს არ ახლდათ მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ბოჯგუა, გუნდის მეორე მწვრთნელს გურამ ჩიქობავას კი ფურცელაძისთვის შეუჩივლია: აგერ ბატონო, გუნდი აქა მყავს, თამაშისთვისაც მზად ვიყავით, მაგრამ ავტობუსმა გვიმტყუნაო. რა თქმა უნდა, ფურცელაძე ვერაფრით დახმარებია.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა გახდა ეს ავტობუსები, ლამის ყველა გუნდი ტრანსპორტის უვარგისობის გამო ვერ ჩადის გასვლით მატჩებზე. ყოველ შემთხვევაში, მიზეზად ეს აქვთ ხოლმე. პარადოქსულია ის, რომ დასავლეთიდან მომავალი დაგვიანებული გუნდები მაინცდამაინც „შევარდენის" სტადიონზე გარბიან, რა თქმა უნდა, თუ იქ თამაში იმართება. თუ მაგალითი გნებავთ, ინებეთ: თავის დროზე წყალტუბოს „სამგურალიც" ასევე მოიქცა. წყალტუბოელებსაც, გზად მომხდარი ავარიის გამო ავტობუსი დაუზიანდათ და რუსთავის ნაცვლად ნავთლუღში ამოყვეს თავი. აბა რა ექნათ, თამაშს მაინც ვერ მიუსწრებდნენ.

ტრანსპორტის პრობლემა, ყოველგვარ სხვა სიკეთესთან ერთად, ყველას ერთნაირად აწუხებს, მაგრამ საქმისთვის ალბათ ასე აჯობებდა — სანამ გუნდები შორ გზას დაადგებიან, რამენაირად ტექნიკურად ვარგისი ავტობუსები უნდა აარჩიონ, თორემ აბა როდემდე უნდა იყვნენ ასე გზად გახიდულები. ეს ორივე ჯგუფის კლუბებს ეხება. მე თუ მკითხავს ვინმე, ერთსაც დავძენდი: გაუმართავი ავტობუსების ნუ შეგეშინდებათ, სანამ თბილისში „შევარდენის" სტადიონი არსებობს და იქ ფეხბურთს თამაშობენ.

საბოლოოდ, სენაკელები ფინანსურ სასჯელს ასცდნენ, უმაღლესი ჯგუფის დატოვებას კი — ვერა: დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მათ ქვედა ლიგაში გადასვლა „დაიბევეს"

### მეტალურგი 4:3 ტორპედო

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე (ჯელაძე 68), თევზაძე, რეხვიაშვილი, ჩალაძე, ყაველაშვილი (მელაძე 63), ტარტარაშვილი (პერტია 46), ალადაშვილი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჯინჭარაძე, თურმანიძე, სადილიანი, გიორგობიანი, შენგელია, ჩხეტიანი, ნოზაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 46)

1:0 ჩალაძე (20), 1:1 აშვეთია (28), 2:1 ზირაქიშვილი (31), 3:1 ალადაშვილი (38), 3:2 შენგელია (43), 4:2 ჯელაძე (73), 4:3 აშვეთია (82 პ)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

წლევანდელ სეზონში ქუთაისურ კლუბს, თითქოს დაებედაო, ვერაფრით მოეხერხებინა თერთმეტმეტრიანის რეალიზება. უიღბლობა ლამის ტრადიციად ექცათ. ჯერ იყო და, ქუთაისში „სიონთან" გამართულ შეხვედრაში ალექსანდრე შეყრილაძემ ააცილა, მერე კი, თბილისში, „შევარდენთან" გასვლით თამაშზე პენალტის შესრულება დავით ნოზაძემ იკისრა, მაგრამ ვერც მან ივაჟკაცა და დარტყმა გაუცუდდა. როცა რაიონისპირელ ფეხბურთელებს ბათუმში მორიგი შანსი მიეცათ, გუნდმა არჩევანი არჩილ ჩხაბერიძეზე შეაჩერა, მაგრამ არც აქ გაუმართლათ — ბათუმელთა მეკარე ტოგონიძემ ივარგა და სტუმართა მცველის დარტყმული მოიგერია. ამის შემდეგ „ეგრისთან" კვლავ დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, მაგრამ გუნდის ბომბარდირმა აშვეთიამ ვერც ამჯერად გამოიყენა შესაძლებლობა — ბურთი მეკარემ აიღო. და აი, ნავსი გატყდა: რუსთავის „მეტალურგის" კარში დანიშნული პენალტი ისევ აშვეთიამ დაარტყა. მიზომ, როგორც იქნა, გაიტანა.

### გურია 0:1 სიონი

გურია: აბაშიძე, ლურწკაია, ცერცვაძე, ლორია, ჩიგოგიძე (ნიკოლაიშვილი 35), ებრალიძე, ნარიაშვილი, განევი, ქიქავა, ბახტაძე, მარგიანი (წილოსანი 46)

სიონი: სიდამონიძე, გაბრიჭიძე, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მეფარიშვილი, ბურდული (მ. სამხარაძე 46), გოგოლიძე, ტორომელიძე, მოსეშვილი, ვ. სამხარაძე, მეტრეველი

0:1 შაკიაშვილი (78)

გაფრთხილება: ცერცვაძე, ლურწკაია

მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

გამარჯვების შემთხვევაში გურულები საბოლოოდ დაიგულებდნენ თავს სამშვიდობოზე, ბოლნისელებსაც ჰაერივით სჭირდებოდათ 3 ქულა. სტუმრებმა უფრო ჟინიანად იბრძოლეს გამარჯვებისთვის და იმდღევანდელ მასპინძლებს შაკიაშვილის მიერ ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით გაუსწორდნენ.

### კახეთი 1:5 დინამო

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ტარულაშვილი, ნიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე (ქააძე 35), ნონიკაშვილი (მამისაშვილი 60), გოგიაშვილი, სოლოღაშვილი, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი

დინამო: ჭანტურია, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (იაშვილი 55), ინალიშვილი, კიკნაძე (ხომერიკი 62), კერძევაძე (ჯელაძე 46), ანჩაბაძე, დემეტრაძე

0:1 დემეტრაძე (8), 0:2 გოგიჩაიშვილი (44), 0:3, 0:4 დემეტრაძე (53, 60), 0:5 ხომერიკი (84), 1:5 ბაბულაიძე (86)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

„დინამოს" მორიგი გამარჯვება კვლავაც დიდი ანგარიშით, ვილას გააკვირვებს. ლიდერების განადგურების შემდეგ აუტსაიდერთან მოგება ხომ სულაც გასეირნებად ჩაეთვლებათ. ამ შეხვედრაში აღსანიშნავი დემეტრაძის ჰეთ-თრიკი იყო თავისი ყოფილი თანაგუნდელების კარში.

### ივერია 3:5 სამტრედია

ივერია: გვარამაძე, ნეკერიშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (გლუნჩაძე 46), ტყემალაძე, ჩადუნელი (ვ. ბუხრიკიძე 46), ლომიძე, კაციაშვილი, ი. ბუხრიკიძე (ზირაქაძე 46)

სამტრედია: ჭანტურია (დოლაბერიძე 46), ჩომახიძე, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია (რუხაძე 78), დარასელია, ჩხაიძე

0:1 გვასალია (3), 0:2 ამაშუკელი (7), 0:3 გვასალია (40), 0:4 ხუჭუა (47), 0:5 დარასელია (75), 1:5 ლომიძე (77), 2:5 ტყემალაძე (79), 3:5 ჩიბაშვილი (85)

გაფრთხილება: ფანჩულიძე, ტყემალაძე

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

ათეულში დამკვიდრებულ ხაშურელებს პირველი წრის კომმარული სიზმრები აღარ აწუხებთ, და, ეტყობა, თავსაც აღარ იკლავენ. ალბათ, არც ამ წაგებაზე დასწყდებოდათ ძალიან გული. ეს ბუნებრივიც არის: წლევანდელი მიზანი — დარჩენა — მიღწეულია. სამტრედიელებს კი ახლა დაეწყოთ მთავარი ბრძოლები და მათთვის დარჩენილ შეხვედრებში ქულის დაკარგვაც კი კატასტროფის ტოლფასია. სამტრედიელებს ეს კარგად ესმით და ყოველი თამაშის მოსაგებად თავს არ ზოგავენ. მათ ხაშურში დიდი დავი-დარაბის გარეშე გაიმარჯვეს და ინარჩუნებენ ევროპაში თამაშის შანსებს.

### დილა 1:0 ოდიში

დილა: მდივანი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი (ხაჭაპურიძე 60), ტაბატაძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ჯალაბაძე 88), წკრიალაშვილი (ციცქიშვილი 55)

ოდიში: ნაყოფია, ახვლედიანი, ვახანია, ასლანიშვილი, ჯავაშვილი, ჯაბუა, კვარაცხელია, კუტალია (ჯურხანძე 56), გაბედავა, იოსავა (აიანადი 68), აფაქიძე

1:0 მარეხაშვილი (14)

გაფრთხილება: თარხნიშვილი

გაძევება: ჯავანიშვილი, ტაბატაძე

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

ორი გაძევება თავისთავად მეტყველებს მატჩის სიმწვავეზე. მარეხაშვილის მიერ მატჩის დასაწყისში გატანილმა გოლმა ზუგდიდელ ფეხბურთელებს შეახსენა, რომ „ეგრისს" დარჩენილ შეხვედრებში გამარჯვების შემთხვევაში მათი დაწევა შეეძლო. თუმცა, მოვლენების ასეთი განვითარება, ახლა, გამორიცხულია.

### მარგვეთი 2:0 ბათუმი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, უვანია, ლონლაძე (ბებიაშვილი 75), უკლება, გეწაძე, ჩხეტია (სულაკაძე 46), ნიკლაური, ქებაძე, ენდელაძე

ბათუმი: მალაყმაძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ფუტკარაძე (დარასელია 46), ღლონტი, კანტიძე, მუჯირი

1:0, 2:0 ენდელაძე (35, 47)

მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

მერაბ მამულაშვილი

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთის ლიდერმა „მერანი-91"-მა ისევ მოიგო და ერთადერთ კონკურენტს, „დინამო-2"-ს 9 ქულით გაუსწრო. პოლიციელთა „აკადემია" ბოლო თამაშებს ძალიან სუსტად ატარებს და „ენერგეტიკოსთან" მისი ფრე აღარავის გაკვირვებია. წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ იმარჯვეს ახალგაზრდა უნივერსიტეტელებმა: მათ ამჯერად „დინამო 2" დაამარცხეს. საერთოდ, „უნივერსიტეტი" საშინაო მატჩებს კარგად თამაშობს და მათთან ბრძოლა, წესით, გათამაშების ლიდერსაც უნდა გაუჭირდეს.

ამ ტურის ძირითადი მოვლენები დასავლეთის ზონაში განვითარდა. ლიდერი „ანჯელი" მესამე საფეხურზე მყოფ „შუქურას" ეთამაშა. დაძაბული და პრინციპული შეხვედრა ფრედ დასრულდა. ეს შანსი ვერ გამოიყენა „სამგურალმა", რომელიც „სქურს" ესტუმრა. მასპინძლებმა ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი ითამაშეს, წყალტუბოელებმა კი თავიანთი შესაძლებლობების მცირე ნაწილი გამოავლინეს, რაც წარმატებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლო გახლდათ, ხოლო მეორეში, 74-ე წუთზე დანიშნული პენალტი მასპინძელმა ჯოლოხავამ გამოიყენა. ამ წაგებამ „სამგურალს" საქმე გაურთულა და ლიდერს ორი ქულით ჩამოარჩინა. არადა, წყალტუბოელებს რომ მოეგოთ, ისევ პირველობას დაიბრუნებდნენ. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა, როცა ერთმანეთის პირისპირ უშუალო კონკურენტები — „სამგურალი" და „ანჯელი" დადგებიან.

ახლა აუტსაიდერებს გადავხედოთ. „ბახმაროს" რომ ვერაფერი უშველიდა, დიდი ხანია ნათელი იყო. გასარკვევი მხოლოდ ის გახლდათ, ვინ იქნებოდა მეორე მაჩანჩალა. ამის შანსი „ჩხერიმელასაც" და „ჩიხურასაც" თანაბრად ჰქონდათ. ბოლო ტურებში ხარაგაულელებმა იყოჩაღეს და ბოლოდან მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. რაც შეეხება საჩხერეს, ამ რაიონში ისედაც მძიმე მდგომარეობაა და ფეხბურთისთვის არავის ცხელა. გუნდი უკვე მესამე თამაშზე არ გამოცხადდა. ყოველთვის ავტობუსის გაფუჭების მიზეზით გასვლით მატჩებზე არჩასვლა, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად ჟღერს. ფეხბურთის ფედერაცია ამ საქმეში, ცხადია, გაერკვევა, მანამდე კი ზუგდიდში ჩაუსვლელობისთვის „ჩიხურას" წაგება ჩაეთვალა.

მამუკა კვანტალიანი

### XXIX ტური

აღმოსავლეთი

ჭაბუკიანი — მერანი 91 0:1
თორი — მორკინალი 0:3
არმაზი — ალგეთი 3:2
აკადემია — ენერგეტიკოსი 2:2
ჟინერი — კოდაკო 1:1
აზოტი — სკა 2:1
იბერია — ცხინვალი 0:0
უნივერსიტეტი — დინამო 2 2:1
მრეტები — მესხეთი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 27 | 21 | 3 | 3 | 72:15 | 66 |
| დინამო 2 | 26 | 18 | 3 | 5 | 70:18 | 57 |
| მორკინალი | 27 | 17 | 5 | 5 | 47:19 | 56 |
| აკადემია | 28 | 17 | 4 | 7 | 49:33 | 55 |
| არმაზი | 27 | 15 | 8 | 4 | 36:16 | 53 |
| უნივერსიტეტი | 27 | 16 | 3 | 8 | 57:29 | 51 |
| აზოტი | 28 | 14 | 6 | 8 | 49:32 | 48 |
| ასკ | 28 | 13 | 4 | 11 | 45:36 | 43 |
| ენერგეტიკოსი | 27 | 11 | 7 | 9 | 43:35 | 40 |
| ჭაბუკიანი | 28 | 12 | 3 | 13 | 53:46 | 39 |
| ალგეთი | 22 | 10 | 4 | 14 | 36:45 | 34 |
| იბერია | 27 | 10 | 4 | 13 | 34:43 | 34 |
| ცხინვალი | 27 | 8 | 7 | 12 | 22:31 | 31 |
| კოდაკო | 27 | 6 | 8 | 13 | 31:57 | 26 |
| შირაქი | 27 | 6 | 6 | 15 | 29:58 | 24 |
| ჟინერი | 28 | 6 | 6 | 16 | 29:68 | 24 |
| მრეტები | 28 | 6 | 6 | 16 | 23:62 | 24 |
| მესხეთი | 27 | 4 | 3 | 20 | 25:76 | 15 |
| თორი | 28 | 3 | 4 | 20 | 22:59 | 13 |

დასავლეთი

მალაროელი — მეშახტე 3:0
შუქურა — ანჯელი 0:0
სქური — სამგურალი 1:0
ოდიში 2 — ჩიხურა 3:0
(ჩიხურა თამაშზე არ გამოცხადდა)
იმერეთი — მამისონი 1:0
ჩხერიმელა — რწმენა 2:0
მერცხალი — ბახმარო 5:0
სამეგრელო — იაგუარი 4:0
კოლხეთი 2 — მარგვეთი 2 1:3
სულორი — საპოვნელა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 29 | 25 | 2 | 2 | 72:17 | 77 |
| სამგურალი | 29 | 24 | 3 | 2 | 89:22 | 75 |
| შუქურა | 29 | 23 | 4 | 2 | 92:23 | 73 |
| მალაროელი | 29 | 22 | 3 | 4 | 66:23 | 69 |
| იაგუარი | 29 | 18 | 2 | 9 | 59:40 | 56 |
| სულორი | 29 | 17 | 2 | 10 | 53:37 | 53 |
| მამისონი | 29 | 13 | 2 | 14 | 50:54 | 41 |
| მერცხალი | 29 | 11 | 8 | 10 | 39:42 | 41 |
| იმერეთი | 29 | 12 | 4 | 13 | 41:39 | 40 |
| რწმენა | 29 | 12 | 3 | 14 | 50:41 | 39 |
| კოლხეთი 2 | 20 | 10 | 5 | 14 | 35:39 | 35 |
| საპოვნელა | 29 | 9 | 8 | 12 | 37:58 | 35 |
| ოდიში 2 | 29 | 9 | 7 | 13 | 47:54 | 34 |
| სქური | 29 | 10 | 2 | 17 | 34:52 | 32 |
| მეშახტე | 29 | 9 | 5 | 15 | 45:51 | 32 |
| სამეგრელო | 29 | 9 | 5 | 15 | 45:60 | 32 |
| მარგვეთი 2 | 29 | 9 | 1 | 19 | 35:60 | 28 |
| ჩხერიმელა | 29 | 6 | 3 | 20 | 41:93 | 21 |
| ჩიხურა | 29 | 5 | 3 | 21 | 37:89 | 18 |
| ბახმარო | 29 | 0 | 2 | 27 | 31:104 | 2 |

# „დინამოში" ცვლილებები იქნება

თბილისის „დინამომ" ჩემპიონობა დამთავრებამდე სამი ტურით ადრე გაინაღდა. საქართველოს პირველ გუნდს ევროთასებზე ასპარეზობა გარანტირებული აქვს, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობა საევროპო თადარიგს აქედანვე იჭერს. ჩვენც ბუნებრივია, დაგვაინტერესა, თუ რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს გუნდში და „დინამოს" პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— „დინამო" უკვე ჩემპიონია, რაც უეფას თასზე ასპარეზობის გარანტიაა. კლუბის გაძლიერებას აპირებთ, თუ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, თქვენს განკარგულებაში რომ არიან?**

— გუნდს აუცილებლად გავაძლიერებთ. ამის შესახებ უკვე ვესაუბრე მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს. რამდენიმე ფეხბურთელიც შევიგულეთ. ჯერჯერობით მათი ვინაობის გამჟღავნებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ მალე დავიწყებთ მოლაპარაკებას ამ ფეხბურთელებთან და მათი გუნდების ხელმძღვანელებთან. არ არის გამორიცხული, ისინი უახლოეს მომავალში „დინამოში" იხილოთ.

**— კი მაგრამ, შემადგენლობის რიცხობრივი ზრდა რამდენად წაადგება გუნდს — „დინამოში" ხომ ისედაც 50-ზე მეტი ფეხბურთელი ირიცხება?**

— ამაზეც ვიფიქრეთ. „დინამო", ყიფიანის თქმისა არ იყოს, რეზინისა არ არის, ჩვენთან მხოლოდ ღირსეულნი უნდა თამაშობდნენ. ამიტომ მათ, ვინც ახალი სეზონის დაწყებამდე გუნდის განაცხადში ვერ მოხვდება და კონკურენციას ვერ გაუძლებს, ტრანსფერზე დავაყენებთ და ამ მოთამაშეების წაყვანის უფლება სხვა ქართულ გუნდებსაც ექნებათ. ეს ეხება როგორც პირველ გუნდს, ასევე „დინამო 2"-საც. მოგეხსენებათ, განაცხადში 22 ფეხბურთელის შეყვანა შეიძლება, ამასთანავე, მეორე გუნდში ასაკობრივი ცენზიც არის, ამიტომ „დინამოში" ფეხბურთელების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება.

**— ერთ-ერთ ადრინდელ საუბარში თქვენ ყიზილაშვილის, გოგიჩაიშვილის და კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის უცხოურ კლუბებში შესაძლო გადასვლაზე ილაპარაკეთ. დღესდღეობით თუ არის კონკრეტული მიწვევები?**

— ყიზილაშვილის და გოგიჩაიშვილის გადაბირება რამდენიმე უცხოურ კლუბს კი სურს, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი კლასის ფეხბურთელებმა მხოლოდ ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებში უნდა ითამაშონ. სხვებზეც იგივე ითქმის, სწორედ ამიტომ ვიკავებთ თავს მათი გაშვებისგან. მეორე მხრივ, წინ უეფას თასი გველის და ხელმძღვანელობას დათოსა და კახას დიდი იმედი აქვს. ისინი ევროთასებს „დინამოში" ითამაშებენ, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, მიწვევის შემთხვევაში ისინი რომელიმე ძლიერ გუნდში იხილოთ. ყოველ შემთხვევაში, უეფას თასის შემდეგ ისინი სათამაშოდ უცხოეთში მაინც წავლენ.

მამუკა კვანტალიანი

## დათო ნოზაძე შალკე 04-ში?

ადრე გაცნობეთ, რომ „ტორპედო" — „ქიაფაზის" ამხანაგურ მატჩს, რომელიც ქუთაისში 2 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა, ქალაქ გელზერკინხერის ბურგომისტრი და ამავე დროს ბუნდესლიგის "შალკეს" პრეზიდენტი გერდ რეჰბერგი დაესწრო. მატჩის შემდეგ ჰერ გერდმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ხელიდან არ გაუშვია შანსი, დასწრებოდა საერთაშორისო მატჩს და ბუნდესლიგისთვის შესაძლო კანდიდატი მოეძებნა. მისივე თქმით, იმ დღეს შეცვლაზე შემოსული ტორპედოელი ნოზაძე საუკეთესო იყო. და აი, ახლახან შევიტყვეთ, რომ გამორიცხული არა არის დავით ნოზაძე გელზერკირხენის კლუბში მიიწვიონ. საწარმოო გაერთიანება „იმერეთის" პრეზიდენტთან გია ლომიძესთან (იგი საპატიო სტუმრის მასპინძელი გახლდათ სადღესასწაულო დღეებში) საუბრისას „შალკეს" პრეზიდენტს უთქვამს, ნოზაძეს ექვსი თვით გერმანიაში მივიწვევო. შეასრულებს თუ არა რეჰბერგი დანაპირებს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. თუ შეასრულებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ ბუნდესლიგა ქართველითურთ კიდევ ერთ, მეოთხე სეზონს ჩაატარებს, და ეს იმის მიუხედავად, დასტოვებს თუ არა საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე ჩამოქვეითებულ „აინტრახტსა" და საერთოდ გერმანიას.

## მარნეულშიც მიაგნეს

ვოლგოგრადის „ვოლჟსკი" რუსეთის პირველ ლიგაში თამაშობს, ფინანსურად არ უჭირს (ავტოფირმა „ვაზი" პატრონობს) და დიდი გეგმებიც აქვს. კლუბს გამოცდილი და, რომ იტყვიან, ფეხბურთში დაბერებული ხალხი ხელმძღვანელობს. გუნდის უფროსად მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მეკარე ნიკოლაი გონტარი მუშაობს. ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გონტარს შემთხვევით ჩვენს მეორეჯგუფელ მარნეულის „ალგეთში" მოთამაშე 23 წლის მიხეილ კალმახელიძე უნახავს საქმეში, მოსწონებია და თბილისში დეპეშაც უფრენია — თუ შესაძლებელია, ეგ ბიჭი გამომიგზავნეთ, უნდა გავსინჯო და გუნდში ავიყვანოო.

კალმახელიძე ვოლგოგრადში ორშაბათს გაფრინდება, დანარჩენი კი თავად მასზეა დამოკიდებული. თუ მიშა ივარგებს და იქაურებს თავს მოაწონებს, მაშინ რუსეთში მოთამაშე ჩვენს ლეგიონერებს კიდევ ერთი მიემატება.

THE LEARNER'S ENGLISH-GEORGIAN DICTIONARY

ინგლისური ენის მცოდნეთა და შემსწავლელთა საყურადღებოდ!

მცირე ტირაჟით გამოვიდა 720-გვერდიანი, ახალი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (45 000-მდე სიტყვა და გამოთქმა).

წიგნის შეძენის მსურველებმა მიაკითხონ თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის წიგნების ჯიხურს.

# ფრთხილად, კარები იკეტება!

## ზოგი — მეშვიდეჯერ, ზოგიც — მეშვიდეზე

რომ არა ხაშურის „ივერიასთან“ 15 მაისისთვის გადმოტანილი მატჩი, რომელშიც თბილისის „დინამომ“ I წრეში დაკარგული ორი ქულისთვის შური სამაგალითოდ იძია, ჩემპიონის მორიგი ტიტულის მოპოვების აღნიშვნა შვიდგზის გამარჯვებულს შარშანდელივით „კახეთთან“ მატჩის შემდეგ მოუწევდა. ოღონდ, ამჯერად თელავში.

ამრიგად, ევროტურნირების ორი საგზურის მფლობელი ცნობილია: „დინამოს“ თასის ფინალის შედეგის მიუხედავად, „ბათუმიც“ დაემატება. დანარჩენ ტურებში კი უეფას თასისა და ინტერტოტოს საგზურთა მაძიებელნიღა დარჩებიან გასარკვევი.

მოგეხსენებათ, ციხეს ორი კარები აქვს, ერთი — შესასვლელი, მეორე — გასასვლელი.

ჩვენს ჩემპიონატს კი შესასვლელ-გამოსასვლელად ერთიც ჰყოფნის. აი, მეორე კი ევროპისკენ უხსნის გზას საპრიზო ადგილებზე გასულთ.

და თუ აქამდე უმეტესწილად პირველი კარის ჭრიალი გვიხშობდა ყურთასმენას, ამიერიდან არც მეორეს მიმწყდართა ჭყლეტა მოგვაწყენს. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბოლო ტურამდე, ვიდრე „მეტალურგი“ „მარგვეთს“ არ უმასპინძლებს, ვერაფერს გავარკვევთ ერთის გარდა — პირველი ხუთეულის შემადგენლობა და წინამძღოლი დადგენილია. ახლა ჯერი დანარჩენებზეა. უკანასკნელ ტურამდე ბურუსს, ალბათ, ვერაფერი გაფანტავს, რადგან საეჭვოა, ევროპულ „ჯილეტზე“ უფრო კბილებალესილმა „მეტალურგმა“ და „კოლხეთმა“, შესაბამისად, „ეგრისთან“ და „კახეთთან“ მოსაგებად ყველაფერი არ გააკეთონ. ბოლო ლუკმად კი რჩება შარშანდელივით უპრინციპულესი შეხვედრა რუსთავში, რომელიც ზოგს ევროპული საგზურის შიმშილს მოუკლავს, ზოგსაც კი ხახამშრალს დასტოვებს. ვინ იქნება ეს წყურვილმოკლული, „მეტალურგი“ თუ „მარგვეთი“, ამას უკანასკნელი ტური გვაჩვენებს, თუმცა, მანამდე „მარგვეთს“ სენაკისა და თელავის ტოლი (თუ უფრო ძნელი არა) ბრძოლა ზუგდიდში ელის. ამ სამი გუნდის პაექრობაში, ალბათ, ვეღარ ჩაერევა „სამტრედია“, რომელიც, მართალია, დარჩენილ შეხვედრებში არცთუ საძნელო ქულათა მაქსიმუმს გეგმავს, მაგრამ მას მოგებათა ნაკლები რაოდენობა აქვს. ასე რომ, შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს ამჯერად სასწაულიღა უშველის. სასწაული, რომელსაც უკვე ელოდებიან არამარტო სამტრედიაში, არამედ ქუთაისშიც. ამ თემაზე ლაპარაკი არასერიოზულიც კია, მაგრამ მაინც: ზოგის თქმით, სამტრედიაში ფრედ ნათამაშებ შეხვედრაში თურმე არ უნდა ეთამაშა ტორპედოელ ნოზაძეს, რადგან იგი განაცხადიდან ამოღებული ყოფილა. მართალია, რუსეთმოვლილ ნოზაძეს მართლაც სჭერია ხელში გათავისუფლების ფურცელი, მაგრამ, როგორც თავად გვითხრა, ამ შეხვედრისთვის ხელახლა შეუყვანიათ „ტორპედოს“ განაცხადში. ესეც რომ არა, მატჩის შედეგზე პროტესტი 48 საათის განმავლობაში მიიღება. არადა, 14 მაისისთვის, შეხვედრის დამთავრებიდან 764 საათის შემდეგაც კი, სფფში არანაირი საჩივარი არ იდო. ერთგვარ ჩიხში მოემწყვდნენ „ბათუმიცა“ და „ტორპედოც“. მათ ერთ საფეხურზე მეტად არც წინ წაწევისა და არც უკან დახევის პერსპექტივა არა აქვთ. საუკეთესო (ვისთვის, გააჩნია) შემთხვევაში, ერთმანეთს თუ გაუცვლიან ადგილებს და უფრო ყოჩაღი ზედა, მეექვსე ადგილზე გავა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტორპედოელთა სიყოჩაღეს საპრიზო ადგილების მაძიებელთა ბედის გარკვევა ძალუძს, მათგან უფრო თავშეკავებულ და შემრიგებლურ სვლებს უნდა ველოდოთ. მაქსიმუმ ისეთს, როგორიც რუსთავში იყო.

I ჯგუფში დარჩენის იმედი საკმაო ხანია გადაეწურა ყვარლის „დურუჯს“. წინა ტურში კი უიმედობა, ეტყობა, სენაკის „ეგრისსაც“ მიეძალა, რაკიღა სატურნირო ცხრილის საბოლოო საფეხურზე დასახლებულ მეზობელს ყვარელში არ ესტუმრა. ამ მატჩზე ჩაუსვლელობის გასამართლებლად ზოგნი, თითქოსდა, ობიექტურ მიზეზს (გზად გაფუჭებულ ავტობუსს) ასახელებენ. თუმცა, ამ ფაქტიდან ყველაზე უკეთ ჩანს, რარიგ გასჭირვებიათ სენაკელებს, რაკიღა ხავსსაც კი აღარ მოსჭიდებიან და ჯეროვნად ვერ უზრუნიათ „უკანასკნელი იმედის“ მატჩზე დროულად ჩასასვლელად. უეჭველია, „ეგრისს“ ამ გამოუცხადებლობისთვის წაგებას ჩაუთვლიან, რითაც „სიონიც“, „გურიაც“, „კახეთიცა“ და „ოდიშიც“ თავს ქუდში დაიგულებენ, მოგებათა სვეტის ბოლოში კი ჩაქრება უკანასკნელი „მოწყენილი ნოლი“, რომელიც ამ ენერგოკრიზისის პერიოდში უქმად ანათებდა „დურუჯის“ სართულზე.

სენაკელთა I ჯგუფში დარჩენისა და ზუგდიდელთა გავარდნის ალარავითარი შანსი, თუნდაც თეორიული, არ არსებობს. „ეგრისმა“ დარჩენილი სამივე შეხვედრა თუნდაც სულ დიდი ანგარიშით რომ მოიგოს, „ოდიშმა“ კი სამივე მატჩი ასეთივე ანგარიშით წააგოს, ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობის წყალობით მაინც ზუგდიდელები გადარჩებიან. თუმცა, როგორც ხვდებით, ესეც წარმოუდგენელია.

ვახტანგ ბზიკაძე

## დარჩენილ თამაშთა განრიგი

**XXVIII ტური**
17 მაისი, პარასკევი

ეგრისი – მეტალურგი
ტორპედო – დილა
ოდიში – მარგვეთი
ბათუმი – შევარდენი
კოლხეთი – ივერია
სამტრედია – კახეთი
სიონი – დურუჯი

**XXIX ტური**
21 მაისი, სამშაბათი

სიონი – ეგრისი
დურუჯი – დინამო
გურია – სამტრედია
კახეთი – კოლხეთი
ივერია – ბათუმი
შევარდენი – ოდიში
მარგვეთი – ტორპედო
დილა – მეტალურგი

**XXX ტური**
31 მაისი, პარასკევი

ეგრისი – დილა
მეტალურგი – მარგვეთი
ტორპედო – შევარდენი
ოდიში – ივერია
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – გურია
სამტრედია – დურუჯი
დინამო – სიონი

## დღეს ესენი ვერ ითამაშებენ

ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ამიტომ გუნდები ძალებს არ ზოგავენ ქულების დასაგროვებლად და სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თექვსმეტივე გუნდი ცდილობს, რაც შეიძლება ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზოს და ტრავმებს მეტად ერიდებიან, მაგრამ თამაშები ისე დაძაბულად მიმდინარეობს, რომ ფეხბურთელებს უჭირთ ნერვების მოთოკვა.

XXVII ტურში მსაჯებს საკმაოდ მოუწიათ წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალი. მომდევნო ტურში ვერ ითამაშებენ ლანჩხუთელი ღურწკაია, სამტრედიელი ფანჩულიძე, გორელები ტაბატაძე და თარხნიშვილი და ზუგდიდელი ჯავაშვილი. ტაბატაძემ და ჯავაშვილმა წითელი ბარათები დაიმსახურეს და მათ მარტო ერთი თამაშის გამოტოვებას არ აკმარებენ.

ჩამოთვლილი გუნდებიდან ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად გორელები დაზარალდნენ, იმ თვალსაზრისით, რომ „დილა“ მერვე ადგილზე მყარადაა დაფუძნებული, ჩამოქვეითების საშიშროება არ ემუქრება და მაინცდამაინც წინ წაწევის დიდი სურვილიც არ აქვს. გაფრთხილებებმა და მკაცრმა სასჯელმა უფრო „სამტრედიას“, „გურიასა“ და „ოდიშს“ ავნო.

## ბათუმში სტადიონის რეკონსტრუქციას დაამთავრებენ

როგორც შევიტყვეთ, ბათუმში ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრებას ევროთასების დაწყებამდე გეგმავენ. ამ გეგმის მიხედვით სტადიონზე უნდა შეიცვალოს მოედნის საფარი, რაც 800 000 დოლარი უნდა დაჯდეს. ნავარაუდევია აგრეთვე სტადიონის ჩრდილოეთ ტრიბუნის ქვეშ სასტუმროს მშენებლობაც, სადაც დააბინავებენ ბათუმში ჩამოსულ უცხოეთის გუნდებს. მალე დამონტაჟდება ელექტროტაბლოც.

მოკლედ, ბათუმში ევროპელების ღირსეულ დახვედრას აპირებენ.

## იბეჭდება მეორედ

UEFA INTERTOTO CUP

ორშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურმა ნაწილობრივ შეგვატყობინა „უეფა-ინტერტოტოს“ თასის გათამაშების XII ჯგუფის განრიგი. ამჯერად გთავაზობთ ამ ჯგუფის სრულ წინასწარ კალენდარს. საბოლოო, დაზუსტებული სახით განრიგი 3 ივნისს გამოქვეყნდება.

XII ჯგუფის კალენდარი

22-23 ივნისი

ფინეთი – საფრანგეთი
იუგოსლავია – რუმინეთი
საქართველო ისვენებს

29-30 ივნისი

საქართველო – იუგოსლავია
რუმინეთი – ფინეთი
საფრანგეთი ისვენებს

6-7 ივლისი

საფრანგეთი – რუმინეთი
ფინეთი – საქართველო
იუგოსლავია ისვენებს

13-14 ივლისი

საქართველო – საფრანგეთი
იუგოსლავია – ფინეთი
რუმინეთი ისვენებს

20 ივლისი

საფრანგეთი – იუგოსლავია
რუმინეთი – საქართველო
ფინეთი ისვენებს

## მშვიდობაში?

ბერძნებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ახალი, ცნობილი იტალიური ფირმის „KAPPA“-ს მიერ დამზადებული ფორმით ითამაშა. თეთრ მაისურს მარცხენა მხარეს შინდისფერი ზოლი დაჰყვება, მარჯვენა მხარეს კი ფირმის ემბლემა ამშვენებს, ტრუსები შავია, გეტრები კი თეთრი. იტალიურ ფირმასთან ჯერ კონტრაქტი არ გაფორმებულა, ნაკრები ამ ფორმას ამხანაგურ მატჩებში გამოცდის და თუ ივარგა, მაშინ, შესაძლოა, მოლაპარაკებაც დაიწყოს.


DHL WORLDWIDE EXPRESS®

მსოფლიო ლიდერი ექსპრეს გზავნილების გადატანაში



„ხელიდან ხელში“

თქვენი გზავნილების, დოკუმენტებისა და ამანათების სწრაფი და საიმედო ჩაბარება ადრესატისათვის მსოფლიოს 222 ქვეყანაში

წერეთლის გამზირი № 105

999 568
340 393
344 826


გოგი ახვლედიანის

## ორი ბანაკი ანუ „ჩრდილოეთი და სამხრეთი“

არის ასეთი ამერიკული სერიალი — „ჩრდილოეთი და სამხრეთი“, იქ პატრიკ სვეიზი თამაშობს და აღწერილია ამერიკის სამოქალაქო ომი.

ფეხბურთიც ხომ რაღაცნაირად ომია. მე პირადად ძალიან მინდა, რომ თამაში იყოს, მაგრამ უფრო ხშირად ომი უფრო გამოდის, ვიდრე ბურთის სპორტულ-ჩენლტმენური გორება.

არის ქვეყნები, სადაც ფეხბურთი უფრო თამაშია, მას თამაშად თვლიან და არის ქვეყნები, სადაც ფეხბურთი ომია და მორჩა.

ასევე, არის მომენტები, როდესაც თამაშს მთლად ომად გადააქცევენ ხოლმე. აბა რა თამაში იყო ბაიერნი-დორტმუნდი? ეს იყო ნამდვილი ომი. აი, ბავარია-ბარსა კი თამაში გახლდათ.

თამაში გახლდათ ინგლისის თასის ფინალიც. იყო სპორტული ბრძოლა და არა ომი.

ამას რატომ ვამბობ?

ახლავე აგიხსნით.

აგერ ერთი კვირაა დავდივარ ამ ჩვენს უცბად გამთბარ ქალაქში და ქომაგ-გულშემატკივართა ლაპარაკს ვუგდებ ყურს. რადიოშიც კი იმაზეა საუბარი, რომ მოახლოვდა წლის საკლუბო ფეხბურთის უმთავრესი დღე — ჩემპიონთა თასის ფინალი.

ჰოდა, დავდივარ და ვისმენ.

თბილისი, როგორც წესია, ბანაკებად არის დაყოფილი. ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ე.წ. „იტალიაშკები“ და ე.წ. „გალანდისტები“. თუმცა, ეს მარტივი დაყოფა, მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ისე მარტივი. ამათ საფინალოდ მხარში ამოუდგნენ სხვა ქვეყანათა ფეხბურთის ტრფიალნიც.

ერთნი „აიაქსს“ ქაჩავენ, სხვანი „იუვეს“.

როგორც მოგეხსენებათ, გულშემატკივართა კამათი უწყინარი პროგნოზით იწყება და საძულველი გუნდის გინებით გრძელდება.

„აიაქსელები“ „იუვეს“ რავანელის ძველბიჭურ ჭლანვას უწუნებენ, კოჭიმტვრევია მცველებს ულანძღავენ და მათ ლეგიონერებს უფერულ თამაშში ამხელენ. მოკლედ ამას, „წადით, თქვე მაკარონნიკებო ჰქვია“.

„იუველები“ აიაქსს უხსენებენ ზამთრის ჩავარდნას და ულანძღავენ ფეხბურთელთა კანის ფერს და ნაწნავებს, აიაქსელებს საშუალოთა აწყობილ გუნდს ეძახიან და ამბობენ, „აიაქსის“ ვარსკვლავი მხოლოდ „აიაქსშია“ ვარსკვლავიო.

აქ სიმართლე ძნელი გასარკვევია. ერთი მხრივ, ფეხბურთელს სიზანგის გამო იწუნებენ, მეორე მხრივ ჰალარა თმისა.

ისე, კაცმა არ იცის, რატომაა მუსამპას ნაწნავები ვიალის ცალ ქილვაშზე უფრო გამაღიზიანებელი და საერთოდ არის კი ეს მთავარი „ბალეშჩიკობის“ დროს?

რა თქმა უნდა — არა.

მაგრამ აქ საქმე სხვაშია. ეს მხოლოდ ქომაგთა პაექრობა როდია, ეს მთელი ომია, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის რომ მიმდინარეობს და თბილისელი გულშემატკივრებიც რომ ჩაბმულან.

საკამათო და სადავო აქ ისევ და ისევ ერთია — ომი, თუ თამაში?

აიაქსი თამაშის გუნდია. იუვესაც უყვარს თამაში, მაგრამ ის ომის ფეხბურთის ქვეყნიდან არის. ამიტომ თუ გლაზგოსთანა ბედოვლათი არ დაეჯახა და თამაშ-თამაშით ან კლასით ვერ აჯობა, ის უეჭველად ომზე გადავა.

აიაქსი კი ან ვერ ითამაშებს, ან ითამაშებს. თამაში ურჩევნია და ომი არ უყვარს. ვნახოთ — ფინალი ახლოვდება, ომისა და თამაშის დიდი შეხვედრა, რომელიც რაღაცით შარშანდელსაც კი ჩამოჰგავს.

ქუჩაში გაგონილი ბოლო შეფასებები კი ასეთია: „მაკარონნიკები“ მაშინ მოიგებენ „აიაქსთან“, როცა საქართველოში კოსმოდრომი აშენდება.

და

„ტუზემცი“ სურინამელები მაშინ წააქცევენ იუვეს, როცა დავიდსი ძმებს გამოიყვანს ჯუნგლიდან და მათ შარვლის ჩაცმას ასწავლის.

ვნახოთ. ისე, მე თამაში მირჩევნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი

UEFA CUP

# ბავარიელებსაც გაუსამდათ

ფინალი
საპასუხო მატჩი

**ბორდო 1:3 ბაიერნი**

ბორდო: უარი, ბანკარელი, ლიზარაზუ (ანსელინი 32), ფრიც-პანსენი, დოგონი, ლუკა (გრენე 79), ზიდანე, კროსი (დუტუელი 57), ტოლო, ვიჩხე, დუგარი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ციგე, შტრუნცი, ჰელმერი, ფრაი (ციკლერი 60), შოლი, სფორცა, კლინსმანი, მათეუსი, კოსტადინოვი (ვიტეჩეკი 75)

გოლი: შოლი (53), კოსტადინოვი (65), დუტუელი (75), კლინსმანი (79)

გაფრთხილება: ვიჩხე, კროსი, ჰელმერი, ფრაი, დუგარი.

უეფას თასიღა აკლდა მიუნხენს. თასების თასი 1967 წელს ჰქონდა, ჩემპიონთა — 1974, 1975 და 1976 წლებში. ჰოდა, რაღა გერმანელები იქნებოდნენ გერმანელები, შანსი ხელიდან რომ გაეშვათ, მით უფრო, რომ ფინალის პირველი შეხვედრა 2:0 ჰქონდათ მოგებული. ბეკენბაუერის ბიჭებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამოცანას თავი გაართვეს. ახლა „ბაიერნი" მეოთხე გუნდია, სამივე ევროპული თასი რომ აქვს მოპოვებული. მისი წინამორბედნი იყვნენ „იუვენტუსი", „ბარსელონა" და „აიაქსი". ბავარიელებმა 76-ში საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგეს. ჩამოთვლილთაგან ეს პრიზი „ბარსელონას" არ აქვს.

## პირველი

მარჯვენა ფრთაზე გაჭრილმა ვიტეჩეკმა შტრუნცს მიაწოდა. ამან საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, გზად ბურთს კლინსმანმა დაამატა და შეაგდო. ასე გაიტანა დიდმა გერმანელმა ფორვარდმა მე-15 გოლი უეფას თასის ამ გათამაშებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ 31 წლის იურგენი რეკორდსმენია. აქამდე, ევროპის საკლუბო ტურნირების ერთ გათამაშებაში ყველაზე მეტი მილანელ ჟოზე ალტაფინის (1962-63) და „იფსვიჩ თაუნის" ჯონ უორკს (1980-81) ჰქონდათ გატანილი — 14.

## მანამდე

კლინსმანის სარეკორდო გოლმა ანგარიში საბოლოო გახადა — 3:1. პირველმა კი მეჰმეთ შოლმა იჯარგა. ეს 53-ე წუთზე მოხდა, როდესაც ბორდოელმა მცველმა ყველა შესაძლო გაგრძელებიდან უარესი ირჩია, ვითომ ძლიერი დარტყმით მოვიგერიებო, კლინსმანს ბურთი ზურგში გაარტყა. ზურგიდან ასხლეტილი ბურთი საჯარიმოში მიუვიდა ემილ კოსტადინოვს, რომელმაც ოდნავ უკან მეჰმეთ შოლს ქუსლით დაუბრუნა. შოლმა, როგორც ვთქვით, ანგარიში გახსნა. მეორე გოლი 65-ეზე გავიდა. შოლმა და კოსტადინოვმა როლები გაცვალეს: პირველმა კუთხური ჩააწოდა, მეორემ კი ძლიერი თაურით ანგარიში გაზარდა. 75-ე წუთზე დანიელ დუტუელმა ჯარიმიდან სხვაობა შეამცირა, შემდეგ კი კლინსმანის ჯერი დადგა.

## ეჰ, ზიდანე...

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მეორეში „ბორდოს" საუკეთესო შემადგენლობა ჰყავდა მინდორზე. ფრანგებს შეემატნენ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანე და მთავარი თავდამსხმელი კრისტოფ დუგარი. პირველი ათი წუთი ისე გაილია, რომ მასპინძლებს გაავებისა არაფერი დასტყობიათ, არადა, 3:0 ჰქონდათ მოსაგები. მიუნხენელები თამაშს აკონტროლებდნენ და მოვლენათა ცენტრი შუა მოედანში ჰქონდათ გადატანილი. მერე დუგარის ორმა თუ სამმა დრიბლინგმა, ტერიტორიული თვალსაზრისით, თამაში ფრანგთათვის სასურველ ადგილას გადაიტანა, მაგრამ ვირტუოზულად აგებულ გერმანულ კედელს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ასე იყო მეორე ტაიმშიც. სტუმრებმა კი შეკუმშული ზამბარის ტაქტიკა ჩინებულად განახორციელეს და სამი გოლი შეაგდეს. დუგარიმ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, რაღაც მაინც მოახერხა, ზიდანე კი ნამდვილად არ ჰგავდა საუკეთესო ფეხბურთელს.

## აქაოდა, მსაჯი ვარო...

ლოგიკის თანახმად, „ბორდო" პირველი თამაშის მერე განწირული იყო. ისე, „ბაიერნი" ალბათ ყველა შემთხვევაში მოუგებდა საფრანგეთის ჩემპიონატის მე-16 გუნდს (ბოლოსწინა ტურის მიხედვით), მაგრამ მაინც, მეტი ინტრიგისთვის, უკეთესი იქნებოდა, ორი კვირის წინ, მიუნხენში ფრანგებს დუგარი-ზიდანიანად რომ ეთამაშათ. ხომ გახსოვთ, მაშინ სტუმრებს მასპინძლებზე ურიგო მომენტები არ ჰქონდათ და ვინძლო ერთი მაინც გაეტანათ, „ბორდოს" ლიდერებმა კი ორ-ორი ყვითლის გამო გამოტოვეს პირველი ფინალური მატჩი. მოკლედ, ხშირად მსაჯებიც აჭარბებენ. მამაცხონებულო, რომ იცი, გუნდს ფინალი ელის, ისე რა დანაშაულისთვის რატომ აფრიალებ ბარათს? ეს, ცხადია, მარტო ფრანგთა პრობლემა არ არის, ორიოდ სუპერგუნდის გარდა ყველას საწუხარია.

## ბეკენბაუერი არავის უცემია

ალბათ კვირანახევარია, რაც „კაიზერ ფრანცი" მარჯვენა თვალდალილავებულია. ისეა ჩალურჯებული, ნაღდად ნაცემი გეგონებათ, მაგრამ, როგორ გეკადრებათ, ბეკენბაუერზე ხელს ვინ აღმართავდა?! „ვერდერთან" თამაშის წინ ვარჯიშზე სახეში ბურთი მოხვდა და იმის გამოა ასე. „კაიზერს" არც ბორდოს მატჩის წინ გაუარა სილურჯემ, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია.

— კარგად ვიცით, „ბორდო" რა გუნდიცაა და ამიტომ საპასუხო შეხვედრას იოლად სულაც არ ვთვლით. მათ „მილანს" 0:2 3:0-ად უქციეს, ეს კი ნიშნავს, რომ იგივე ჩვენთანაც შეუძლიათ. — ამბობდა იგი მატჩის წინ, მატჩის შემდეგ კი ეს თქვა:

— საბოლოო წარმატება ამ გათამაშებაში კარგად ჩატარებული შეხვედრების ლოგიკური დაგვირგვინება იყო. ახლა ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ გერმანიის ჩემპიონები ვერ გავხდით.

კაიზერი მართალია, „ბაიერნმა" ამ უეფას თასზე სტუმრად ჩატარებული ყველა შეხვედრა მოიგო, რაც თავისთავად მეტყველებს გუნდის სიძლიერეზე.

## კოსტადინოვი

ბულგარელმა ფორვარდმა ერთი საგოლე პასი შეასრულა, ერთი თაურით შეაგდო და თანაც 32-ე წუთზე „ბორდოს" მარცხენა მცველს, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს ბისენ ლიზარაზუს (საფრანგეთის ბასკეთიდანაა) ისე მწარედ მიარტყა ფეხებში, რომ საწყალი საკაცით გაიყვანეს. ამგვარად, ისედაც განწირული გუნდი პირველ ტაიმშივე ერთი წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩა.

— ამ საღამოს ერთადერთი სასიამოვნო ის მოხდა, რომ ექიმმა დამამშვიდა, ნუ გეშინია, ევროპის ჩემპიონატისთვის ტრავმა მოგიშუშდებაო — თქვა მოგვიანებით ლიზარაზუმ.

## რორი ხუმრობდა

„ბორდოს" მწვრთნელი ჟერონ რორი მატჩის წინ ასე ხუმრობდა:

— თითო ტაიმში თითოს გავიტანთ, მერე საქმეს პენალტებამდე მივიყვანთ, იქ კი 10:9-ს მოვიგებთ. თუ „ბაიერნმა" მაინც მოახერხა და ერთი გაგვიტანა, ოთხით ვუპასუხებთ, თუ სამი გაგვიტანა, ექვსს გავუტანთ.

რორი 70-იან წლებში ბეკენბაუერის თანაგუნდელი იყო, ერთად თამაშობდნენ „ბაიერნში".

— პირველი ფინალური მატჩის წინ ყველა ფიქრობდა, რომ ბეკენბაუერი მიუნხენელებს ყველაფერს მოაგებინებდა. თუმცა, ყველამ ვნახეთ, როგორ წააგეს მათ „ვერდერთან" და „შალკესთან", რითაც ჩემპიონობა დაკარგეს. ფრანცის მითი გაიბზარა. — ამბობდა იგი ძველ ამხანაგზე.

და მაინც, მას რეალობის გრძნობა არ დაუკარგავს:

— იტალიელებს ეგონათ, საქმე მოთავებული ჰქონდათ (მეოთხედფინალში „ბორდომ" „მილანი" გააგდო) და ისე ჩამოვიდნენ ბორდოში. ახლა კი საქმე გერმანელებთან გვაქვს. მერწმუნეთ, ვიცი, რასაც ვამბობ. გერმანელები მუდამ სულ ბოლო წამამდე იბრძვიან.

## ღირსეულმა მოიგო

ეს სიტყვები „ბორდოს" პრეზიდენტს ალან აფლელს ეკუთვნის. მისი თქმით, „ბაიერნი" დიდი გუნდია და ეს დაამტკიცა კიდეც. კიდევ, აფლელმა უარჰყო ბოლოხანს აგორებული ჭორი, თითქოს ის გუნდს სტოვებს.

## ბოლოს

„ბაიერნმა" 20 წლის შემდეგ კვლავ მოიგო ევროპული თასი. მაშინ, 1976 წელს მიუნხენელებმა ასევე ფრანგულ გუნდს „სენტ ეტიენს" სძლიეს ჩემპიონთა თასის ფინალში. აწი, ეს დიდი გუნდი, ალბათ კიდევ ოც წელიწადს აღარ დაიცდის, რათა ამა თუ იმ თასის ფინალში მაინცდამაინც ფრანგები დაამარცხოს.

ბაპუნა კედია


საფეხბურთო ტოტალიზატორი

**ლაპლას-ტოტო**

მატჩების სია — ტირაჟი № 31 (18-20 მაისი)

| | |
|---|---|
| 1 ვალენსია — ესპანიოლი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 2 ბეტისი — დეპორტივო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 3 კომპოსტელა — სევილია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 4 ოვიედო — ვალიადოლიდი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 5 ტენერიფე — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 ბარსელონა — სელტა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 რეალი — მერიდა | ესპანეთის ჩემპიონატი |

№30 ტირაჟის შედეგები

1. 7-1 2. 2-2 3. 2-0 4. 2-1 5. 2-1 6. 1-1 7. 0-3

მოგებები: ხუთი, ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო.

JACK POT — შესაბამისად 300, 755 და 1135 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.


# „ბაიერნი" მიუნხენი 1995–96

მეკარეები

ოლივერ კანი. დაიბადა 1969 წლის 15 ივნისს. 188 სმ, 87 კგ. გუნდშია 1994 წლიდან. მანამდე — „კარლსრუე". ბუნდესლიგაში (ამ სეზონის ჩაუთვლელად): 151 მატჩი.



კანი

სვენ შოიერი. დაიბადა 1971 წლის 19 იანვარს. 187 სმ, 83 კგ. გუნდშია 1988 წლიდან. ბუნდესლიგაში: 13 მატჩი.

მცველები

მარკუს ბაბელი. დაიბადა 1972 წლის 8 სექტემბერს. 189 სმ, 81 კგ. გუნდშია 1994 წლიდან. მანამდე — „ჰამბურგი". ბუნდესლიგაში: 98 მატჩი, სამი გოლი.

ოლივერ კროიცერი. დაიბადა 1965 წლის 13 ნოემბერს. 182 სმ, 73 კგ. გუნდშია 1991 წლიდან. მანამდე — „კარლსრუე". ბუნდესლიგაში: 254 მატჩი, 13 გოლი.

ლოთარ მათეუსი. დაიბადა 1961 წლის 21 მარტს. 174 სმ, 71 კგ. გუნდშია 1992 წლიდან. მანამდე — „მიონხენგლადბახი", „ბაიერნი", „ინტერი". ბუნდესლიგაში: 352 მატჩი, 114 გოლი.

თომას ჰელმერი. დაიბადა 1965 წლის 21 აპრილს. 185 სმ, 76 კგ. გუნდშია 1992 წლიდან. მანამდე — „არმინია", „დორტმუნდი". ბუნდესლიგაში: 280 მატჩი, 29 გოლი.



ჰელმერი

ნახევარმცველები

დიტერ ფრაი. დაიბადა 1972 წლის 11 ოქტომბერს. 183 სმ, 78 კგ. გუნდშია 1992 წლიდან. მანამდე — „აუგსბურგი". ბუნდესლიგაში: 39 მატჩი, 3 გოლი.

დიტმარ ჰამანი. დაიბადა 1973 წლის 27 აგვისტოს. 187 სმ, 72 კგ. გუნდშია 1989 წლიდან. ბუნდესლიგაში: 35 მატჩი, 1 გოლი.

ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია). დაიბადა 1968 წლის 10 სექტემბერს. 183 სმ, 80 კგ. გუნდშია 1995 წლიდან. მანამდე — „ადმირა-ვაკერი", „ვიენა", „რაპიდი", „ვერდერი". ბუნდესლიგაში: 94 მატჩი, 26 გოლი.

კრისტიან ნერლინგერი. დაიბადა 1973 წლის 21 მარტს. 182 სმ, 73 კგ. გუნდშია 1987 წლიდან. ბუნდესლიგაში: 63 მატჩი, 14 გოლი.

მეჰმეთ შოლი. დაიბადა 1970 წლის 16 ოქტომბერს. 178 სმ, 67 კგ. გუნდშია 1992 წლიდან. მანამდე — „კარლსრუე". ბუნდესლიგაში: 147 მატჩი, 38 გოლი.

ჩირიაკო სფორცა (შვეიცარია). დაიბადა 1970 წლის 2 მარტს. 180 სმ, 76 კგ. გუნდშია 1995 წლიდან. მანამდე — „არაუ", „გრასჰოპერსი", „კაიზერსლაუტერნი". ბუნდესლიგაში: 61 მატჩი, 15 გოლი.

თომას შტრუნცი. დაიბადა 1968 წლის 25 აპრილს. 183 სმ, 75 კგ. გუნდშია 1995 წლიდან. მანამდე — „დუისბურგი", „ბაიერნი", „შტუტგარტი". ბუნდესლიგაში: 125 მატჩი, 27 გოლი.

თავდამსხმელები

ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი). დაიბადა 1967 წლის 12 აგვისტოს. 180 სმ, 76 კგ. გუნდშია 1994 წლიდან. მანამდე — ც.ს.კ.ა. (სოფია), „პორტუ", „დეპორტივო". ბუნდესლიგაში: 9 მატჩი, 2 გოლი.

ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი). დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს. 177 სმ, 70 კგ. გუნდშია 1994 წლიდან. მანამდე — „ვალანსიენი", „ბრიუგე", „მარსელი", „მილანი". ბუნდესლიგაში: 7 მატჩი, 1 გოლი.

მარსელ ვიტეჩეკი. დაიბადა 1968 წლის 18 ოქტომბერს. 175 სმ, 75 კგ. გუნდშია 1993 წლიდან. მანამდე — „ურდინგენი", „კაიზერსლაუტერნი". ბუნდესლიგაში: 259 მატჩი, 43 გოლი.

ალექსანდერ ციკლერი. დაიბადა 1974 წლის 28 თებერვალს. 188 სმ, 84 კგ. გუნდშია 1993 წლიდან. მანამდე — დრეზდენის „დინამო". ბუნდესლიგაში: 55 მატჩი, 13 გოლი.

იურგენ კლინსმანი. დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს. 181 სმ, 76 კგ, გუნდშია 1995 წლიდან. მანამდე — „შტუტგარტი", „ინტერი", „მონაკო", „ტოტენჰემი". ბუნდესლიგაში: 156 მატჩი, 79 გოლი.



კლინსმანი

მწვრთნელები

ოტო რეჰაგელი. დაიბადა 1938 წლის 9 აგვისტოს. თამაშობდა „როტ-ვაის ესენში", ბერლინის „ჰერტასა" და „კაიზერსლაუტერნში" (სულ ბუნდესლიგაში — 201 მატჩი). 1972 წლიდან მწვრთნელია:

1972-73 — ზაარბრიუკენი
1973-9.12.1975 — კიკერს-ოფენბახი
29.02.1976-1976-ის მაისი — ვერდერი
1976-30.04.1978 — დორტმუნდი
10.10.1978-11.10.1979 — არმინია
12.10.1979-5.12.1980 — ფორტუნა
2.04.1981-1995 — ვერდერი
1.07.1995-25.04.1996 — ბაიერნი



რეჰაგელი

ფრანც ბეკენბაუერი. „ბაიერნი" გაწვრთნა უეფას თასის ფინალების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# სათასო უქმეები

## შაბათ-კვირას ევროპის რიგ ქვეყნებში თასის ფინალები გაიმართა

### იტალია

## ფლორენციელთა სიურპრიზი

**ატალანტა 0:2 ფიორენტინა**

ფლორენციელები ბერგამოს ორი კვირის წინანდელი 1:0-ით ჩავიდნენ და ნაცვლად ასეთი შეხვედრებისთვის ტრადიციული კონტრშეტევისა, იქით შეუტიეს მასპინძლებს. ეს, კარგად გააზრებული და მომზადებული ტაქტიკური სვლა, როგორც ჩანს, „ატალანტასთვისაც“ მოულოდნელი იყო, რადგან ორი ტაიმის განმავლობაში თამაშის ჩარხი ვერაფრით შეატრიალა. შეხვედრა იტალიური ფეხბურთისთვის შესაფერის, ჩვეულ ბრძოლაში ჩატარდა. იყო ყველაფერი: ტექნიკური, ტაქტიკურად გამართული, სწრაფი და უშელავათო მოქმედებანი. საგანგებოდ აღსანიშნავი „ატალანტას“ მოთამაშეებს არაფერი შეუქმნიათ, სტუმართაგან კი რუი კოშტას, კარნაშალის, ბიჯიკას და ბატისტუტას გამოყოფა იქნებოდა უპრიანი. მეტად სახიფათო მომენტი სტუმართა კართან მე-16 წუთზე შეიქმნა: ფლაკის დარტყმა მეკარე ფერონმა ფეხით მოიგერია, ბურთი საჯარიმოში ბატისტუტას მიუვიდა, მაგრამ მან იგი ერთი შეხებით ვერ დაიმორჩილა, დაკარგა და ფერონს ვეღარ აჯობა. შემდეგ „ფიორენტინამ“ შეაგდო კიდეც, მაგრამ მსაჯმა პიერლუიჯი პაირეტომ, რომელმაც ამასწინათ თასების თასის ფინალი იმსაჯა, ფლაკის ხელით თამაში დააბრალა და არ ჩათვალა. ამას რუი კოშტას მიერ მოპოვებული კუთხურიდან თავად პორტუგალიელის თაური მოჰყვა, კარს ოდნავ რომ ასცდა. ბოლოს მასპინძლებსაც ჰქონდათ კარგი შანსი. მარჯვნიდან მოწოდებულ კუთხურს და თაურს ტოვალიერიმ ფეხი ვეღარ წაჰკრა, თორემ გოლს წინ აღარაფერი უდგა.

48-ე წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. რუი კოშტას კუთხური ამორუზომ ფეხით გოლად აქცია. მერე ფერონმა ბატისტუტას აუღო, ხოლო მე-61-ზე ანგარიში გაიზარდა: ფლაკის მოკლე პასით რუი კოშტა საჯარიმოში შეიჭრა, მისი დარტყმული გამოვარდნილ მეკარეს მოხვდა, მაგრამ მასვე მიუბრუნდა, განმეორებით დარტყმას მცველი ჩაუწვა, მესამე და სამართალი კი ბატისტუტას დაუთმო.

აქ თამაში პრაქტიკულად დამთავრდა. დარჩენილ დროში საინტერესო რუი კოშტას დრიბლინგი და ოდნავ აცილება, ბატისტუტას უშედეგო მაკრატელა და ტრიბუნებზე მეტოქეთა ქომაგების დასაშორიშორებლად კარაბინერების რაზმის ჩადგომა იყო.

ამგვარად, „ფიორენტინამ“ 1975 წლის შემდეგ პირველად მოიგო ქვეყნის თასი და თან ამით „პარმას“ უეფას თასის საგზური მოაპოვებინა. ახდა გაბრიელ ბატისტუტას ოცნებაც. აღსრულდა ის, რაზეც, მისივე თქმით, ბოლო ორი კვირის მანძილზე აკვიატებით ფიქრობდა. გამარჯვებულთა მეკარე ტოლდო კი თითქმის ვანგა ყოფილა. ერთადერთი, რაშიც ტოლდო შეცდა, გახლდათ ის, რომ მისი პროგნოზით, ორივე გოლი „ბატიგოლს“ უნდა გაეტანა. სინამდვილეში კი, ერთი ამორუზომ შეაგდო.

### ჰოლანდია

## პრიზი ეინდჰოვენში წაიღეს

**ეინდჰოვენი 5:2 სპარტა**

ექვსი წელია, ეინდჰოვენის გუნდს თასი აღარ მოუგია და აჰა! როტერდამელთა შთამბეჭდავი ძლევით მათ ჯილდოც დაისაკუთრეს და საგაისოდ თასების თასზე თამაშიც დაიბევეს. არადა, ჩემპიონატში, ცოტა ხნის წინ რომ დამთავრდა, „სპარტამ“ ორივე შეხვედრაში მოუგო მეტოქეს. ფინალში ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა. „სპარტას“ მეკარემ ედვარდ მეტგოდმა ვიმ იონკის 25 მეტრიდან დარტყმული ხელში ვერ დაიჭირა, ბურთი ფილიპ კოკუს მიუგორდა და ამანაც ანგარიში გახსნა. მე-13-ზე იონკმა, რომელიც ნაკრების მწვრთნელს გუს ჰიდინკს ევროპის პირველობაზე არ მიჰყავს, კუთხური ჩააწოდა, მარსიანო ვინკმა კი მეორე შეაგდო. ტაიმების გასაყარზე „სპარტამ“ სხვაობა შეამცირა — მცველმა დეივ ვან დერ მეერმა ცხრიანში გაიტანა, თუმცა 65-ზე მისმა თანაგუნდელმა და მასავით მცველმა ჯონ ველმანმა, რომელიც მომავალი სეზონიდან „აიაქსში“ მიქაელ რაიციგერს შეცვლის, მარსიანო ვინკის ჩაწოდებული თაურით საკუთარ კარში შეაგდო. „სპარტამ“ მაინც ბოლომდე ბრძოლა განიზრახა. დენის კრიგსმანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დენის დე ნოიერმა გოლად აქცია — 3:2. თავის მხრივ „ეინდჰოვენი“ ერთგოლიანმა უპირატესობამ არ დააკმაყოფილა. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე იონკმა ახლოდან მეოთხე შეაგდო, სულ ბოლოს კი მოედანზე იმწუთს შესულმა ბიორნ ვან დერ დულენმა მეხუთე და საბოლოო გაიტანა.

ამ შეხვედრაში ფეხბურთს გამოეთხოვა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი წევრი იან ვაუტერსი. მან წინა კვირაში ძლიერ იტკინა კოჭი და ფინალში გამაყუჩებლის შემწეობით ითამაშა. ვაუტერსი მომავალში „უტრეხტის“ ერთ-ერთ მწვრთნელობას აპირებს.

### პორტუგალია

## «ბენფიკამ» მეტოქეს აჯობა

**ბენფიკა 3:1 სპორტინგი**

მართალია, პირველად „სპორტინგის“ ნაიბეტმა დაარტყა, მაგრამ ააცილა, მერვე წუთზე კი ბენფიკელებმა ანგარიში გახსნეს. გოლი ასე გავიდა: ჟოაო პინტუს შორიდან დარტყმული „სპორტინგის“ მეკარემ ხელში ვერ დაიჭირა, ბურთი კვლავ წითელმაისურიანს მიუვიდა, მეკარემ ვერც მისი დარტყმა ჩაბღუჯა და მაურო აირესმა წაჰკრა — 1:0. ამის შემდეგ, მეოცე წუთამდე საგანგებოდ აღსაწერი არაფერი მომხდარა. ფეხბურთელები ჩქარა დარბოდნენ და ორთაბრძოლებს არ ერიდებოდნენ. მეოცეზე „სპორტინგმა“ მარჯვნიდან ჩაჰკიდა, ბურთისთვის მეკარე მიშელ პრიუდომი ახტა, მაგრამ თავდამსხმელმა თაური მოასწრო. ბურთი მინდორზე ახხლტა და მარჯვენა ძელს ცოტათი ასცდა. კარგა ხნის მერე კვლავ „სპორტინგმა“ შექმნა მომენტი: შორიდან დარტყმული პრიუდომმა მოქნილი ნახტომით მოიგერია. მე-40 წუთზე კი ანგარიში გაიზარდა. ჟოაო პინტუ მეკარესთან პირისპირ გავიდა. ამ ეპიზოდში „სპორტინგის“ მცველები ერთობ წინ იყვნენ თავიანთი საჯარიმოდან, რითაც ბენფიკელს სარბენი სივრცე შეუქმნეს. ჟოაო პინტუ გოლკიპერს დაუპირისპირდა და ტექნიკური დარტყმით დაბალ კუთხეში შეაგდო.

მეორე ტაიმიც ბენფიკელთა პირისპირ შესვლით დაიწყო, თუმცა გადაამლაშეს და გოლი ვერ გაიტანეს. ამას „სპორტინგის“ ხედიზედ სამი მეტ-ნაკლები სიმწვავის მომენტი მოჰყვა. შემდეგ ჟოაო პინტუმ კუთხურიდან ჩაწოდებულს თავით კარგი ტრაექტორია შეურჩია, ოღონდ ბურთი ხარიხას მოხვდა. მორიგ ეპიზოდში კი პინტუმ მიზანი გაასწორა. ისევ კუთხურიდან მოწოდებული ბენფიკელებმა შორეულ ძელთან თავით პინტუს გადაუგდეს, მან თაურს თაური დაამატა და — 3:0.

ბოლოს „სპორტინგი“ გააქტიურდა. ჯერ პირისპირ გავიდა, მაგრამ პრიუდომს ვერაფერი დააკლო, შემდეგ კი პენალტით გაიტანა: თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე თერთმეტმეტრიანი, რომელსაც რიკარდო გომეშის გაძევება მოჰყვა, შავიერმა ზუსტად შეასრულა.

მატჩის შემდეგ ტრადიციული საზეიმო დაჯილდოება არ გამართულა. პორტუგალიის პრეზიდენტმა ჟორჟე სამპაიომ გამარჯვებულთათვის ჯილდოს ზარ-ზეიმით გადაცემა იუარა, რადგან პირველი ტაიმის დასაწყისში, მაურო აირესმა ანგარიში რომ გახსნა, „ბენფიკას“ ქომაგის მიერ გასროლილი მაშხალა „სპორტინგის“ 36 წლის ქომაგს სახეში მოხვდა და საბრალო საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

### შოტლანდია

## მოყვარის გეშინოდეს!

**რეინჯერსი 5:1 ჰარტსი**

პირველი ტაიმის შემდეგ „რეინჯერსი“ 1:0-ს იგებდა. გოლი 37-ე წუთზე საუცხოო დარტყმით ბრიან ლაუდრუპმა შეაგდო, მაგრამ თასის მოპოვებამდე ჩემპიონებს ბევრი უკლდათ, რადგან მეტოქე ერთობ ეთამაშებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მე-7 წუთზევე „ჰარტსის“ 20 წლის კაპიტანი გერი ლოკი სერიოზულად დაშავდა, თასის მაძიებელი ფარ-ხმლის დაყრას არ ფიქრობდა, მაგრამ ციხე, მოგეხსენებათ, შიგნიდან ტყდება. მტერი იმდენს რას დაგაკლებს, რასაც მოყვარე... მეორე ტაიმის მე-4 წუთზე ლაუდრუპმა მეტოქის გამოცდილი იტალიელი მცველი პასკუალე ბრუნო ჩამოიცილა და ჩააწოდა. საჯარიმოში რეინჯერსელთაგან არავინ აღმოჩნდა და ბურთი „ჰარტსის“ ფრანგი გოლკიპერის ჟილ როსეს იოლი ლუკმა უნდა გამხდარიყო, მაგრამ მან გაუგონარი რამ ჩაიდინა: რაღაცნაირად, ბურთის ფეხებშუა გაძვრენა და კარში გაშვება მოახერხა. გოლი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ „რეინჯერსის“ ქომეგებიც კი დაიბნენ და სიხარულის კიჟინა დაბნეული პაუზის მერეღა დასცხეს. ამ ეპიზოდის შემდეგ „ჰართსი“ დარეტიანებულივით ირჯებოდა, ჩემპიონი კი ჩემპიონურად. ლაუდრუპმა ალმაფრენა იგრძნო და 66-ე, 79-ე და 75-ე წუთებზე გორდონ დიურის ჰეთ-თრიქი შეასრულებინა. 76-ზე „ჰართსმა“ ჯონ კოლქონის დარტყმით ერთი გაიტანა, მაგრამ ეს ვერაფერს შეცვლიდა. ამგვარად, ახალჩათავებულ სეზონში „გლაზგო რეინჯერსმა“ დუბლი გააზერხა ანუ სამი წლის შემდეგ თასიც დაიბრუნა. თუ ეს გუნდი მომავალი სეზონიდან ჯანლუკა ვიალისაც დაიმატებს (ამაზე დიდი მითქმა-მოთქმაა), მაშინ შინაურ ფრონტზე, ალბათ, პრობლემა საერთოდ აღარ ექნება.

მატჩის შემდეგ ჰეთ-თრიქის ავტორმა დიურიმ განაცხადა, რომ ეს მისთვის უბედნიერესი დღე იყო და ალბათ ასეთ ბრწყინვალე შედეგს კარიერაში ვეღარ გაიმეორებს. მან ფრიად შეაქო ლაუდრუპი, მეორე თანაგუნდელს, ინგლისელ პოლ გესქოინს კი საჯაროდ შეახსენა, რომ ნიძლავი მოუგო და 50 გირვანქა ერგება. თურმე დიური და გაზა სეზონის წინ დანიძლავებულან, ვინ მეტს შეაგდებდა. თასის ფინალის შემდეგ 23:19 დიურიმ მოიგო, გაზამ კი გამარჯვებულ მეგობარს ონსტატობა შეუქო და თქვა, ევროპის ჩემპიონატზე შოტლანდიასთან თამაშში ინგლისელებს თუ ვინმესი უნდა გვეშინოდეს, გორდონისაო.

## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი № 32 (25-27 მაისი)**

| | |
|---|---|
| 1 სელტა — ვალენსია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 2 ესპანიოლი — კომპოსტელა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 3 სევილია — სალამანკა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 4 მერიდა — ოვიედო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 5 ატლეტიკო — ალბასეტე | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 დეპორტივო — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 სარაგოსა — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

**№30 ტირაჟის შედეგები**

1. 7-1 2. 2-2 3. 2-0 4. 2-1 5. 2-1 6. 1-1 7. 0-3

მოგებები: ხუთი, ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო. JACK POT — შესაბამისად 300, 755 და 1135 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

რაგბი

# ბეირუთელებმა ნაკრები გაგვიპამპულეს

### ვაკის IX შვიდკაცა

მსაჯები: პაატა ნარიმანაშვილი (13 თამაში), გოჩა აბაშიძე (9)

შაბათი, 18 მაისი

„ა“ ქვეჯგუფი. საქართველოს საშვიდკაცო ნაკრები — დინამო 50:0, ლელო — ყოჩები 17:0; ყოჩები — დინამო 33:5, ნაკრები — ლელო 24:0; ლელო — დინამო 33:0, ნაკრები — ყოჩები 27:5. ნაკრები 6 ქულა (101:5), ლელო 4 (50:24), ყოჩები 2 (38:49), დინამო 0 (5:116)

„ბ“ ქვეჯგუფი. ქორები — ყოჩები II 28:5, გუმარი — ასკ 22:0; გუმარი — ყოჩები II 35:7, ქორები — ასკ 21:5; ასკ — ყოჩები II 17:7, გუმარი — ქორები 24:0. გუმარი 6 (81:7), ქორები 4 (49:34), ასკ 2 (22:50), ყოჩები II 0 (19:80)

კვირა, 19 მაისი

მეოთხედფინალი. ნაკრები — ყოჩები II 38:7; ქორებს ვერ ეთამაშნენ ყოჩები; გუმარი — დინამო 22:0; ლელო — ასკ 21:0

ნახევარფინალი. V-VIII: ყოჩები — ყოჩები II 24:21, ასკ — დინამო 33:7. I-IV: ნაკრები — ქორები 38:5, გუმარი — ლელო 22:7

ფინალი. VII-VIII: ყოჩები II — დინამო 36:0. V-VI: ყოჩები — ასკ 19:12. III-IV: ლელოს ვერ ეთამაშნენ ქორები

**I-II: გუმარი — ნაკრები 36:12 (29:0)**

გუმარი: პარწიკანაშვილი, ხუციშვილი, მთიულიშვილი; ბ. იურინი, ნ. იურინი, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი. — ნლ: ბუგიანიშვილი (3, 10), ნ. იურინი (5, 8), ჩიქვინიძე (6), პარწიკანაშვილი (11); ვგ: ნ. იურინი (5, 10, 11)

ნაკრები: ალანია (ქორები), ობოლაძე (გუმარი), ზ. ლეჟავა (ყოჩები); შ. მოდებაძე (გუმარი), ჯიმშელაძე (გუმარი), მაჩიტიძე (გუმარი), ურუშაძე (ყოჩები) (საკანდელიძე (ყოჩები), 11). — 2ლ: საკანდელიძე (16), მოდებაძე (20); გ: მოდებაძე (20)

მსაჯი ნარიმანაშვილი

საბოლოო კლასიფიკაცია: 1. გუმარი, 2. ნაკრები, 3. ლელო, 4. ქორები, 5. ყოჩები, 6. ასკ, 7. ყოჩები II, 8. დინამო

**იქეთა უქმეებზე,** 1-2 ივნისს, ლისაბონში შვიდკაცას მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. იქ იასპარეზებს ჩვენი ნაკრებიც, 37 წლის მალხაზ ჭეიშვილი რომ შეადგენს და უმწვრთნელებს. გუნდის მიზანი საუკეთესო რვეულში მოხვედრაა, რაც ქართველ მოშვიდკაცეებს არგუნებს ჰონკონგის საგზურს. გაისად, მარტში, სწორედ იქ გათამაშდება მსოფლიო თასი.

ისევე, როგორც ამ ოთხი წლის წინათ ასეთსავე სიტუაციაში, საქართველოს ნაკრებმა ამჯერადაც ცალკე გუნდად ითამაშა საშინაო შვიდკაცაში, ვაკეში დიდებული დარი რომ შეემთხვა. თუ ოთხი წლის წინ ნაკრებმა, ვისაც დუგლას კავთელაშვილი მეთაურობდა, შინ პირველი ადგილი დაიჭირა, მაგრამ მერე მარცხი იწვნია ფილის შესარჩევ ტურნირში, ამჟამინდელმა რჩეულმა გუნდმა შინ საკმაოდ აზრიანად და ძლიერად ითამაშა, საშინაო შვიდკაცათი მშვენივრადაც ივარჯიშა, მაგრამ ფინალიც საოცრად უსუსურად წააგო.

ვაკეში ორი დღის მანძილზე საშვიდკაცო განწყობილებას დაესადგურებინა. ასპარეზი ბოშათა ბანაკს ჰგავდა. იყო ერთი ბურთაობა და ოხუნჯობა. „ქორების“ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილის მწევარი „ჩონი“, ვაკეში თამაშს რომ არ აკლდება,



„გუმარისა“ და დიდი და საშვიდკაცო ნაკრებების წევრი და „გუმარისა“ და დიდი ნაკრების მწვრთნელის ვაჟი შოთა მოდებაძე, ეტყობა, „ძერავს“ შვიდკაცაზე შემოსწრებულ დოსტს — „ბეირუთ“ იურინს, მიდი, ფორმა მოიტანე და ფინალში „გუმარის“ სახელით ჩვენს წინააღმდეგ ითამაშეო

ბადრი კეთილაძის ფოტო

ერთხელ დაცვასაც ამოუდგა მხარში და წაქცეულ მოიერიშეს პირი წაატანა, ნაკრების უკოლორიტულესმა მოთამაშე ზაზა ლეჟავამ კი, თავისი გუნდის თამაშის წინ ლელოში რომ ხურდებოდა, სხვა თამაშების მონაწილეები ხუმრობით კინაღამ შებოჭა.

გუნდების ნაწილი შვიდკაცას ერთობ გულისგარეთ მოეკიდა. „ყოჩებმა“ და „ქორებმა“ საკადრისი შვიდეულები ვერ გამოიყვანეს, მეორე დღეს კი დროულად სულაც რომ ვეღარ შეკრიბეს გუნდები, თითოჯერ უთამაშებლად დანებდნენ მეტოქეს. სამაგიეროდ, საზოგადოება ერთობ მოხიბლეს „ლელომ“ და მეორე ჯგუფის „ყოჩებმა“. ამათ თანდათან უმატეს თამაშს, მშრალზე არც წაუგიათ, ჯუმბერ ჯანაშვილსა („კოსტას“) და ბადრი ხეხელაშვილს კი ყველა ქომაგობდა.

შაბათი იმით დასრულდა, რომ გუმარელმა კახა მაჩიტიძემ („ჩიჩიამ“) სამი ლელო გაუტანა „ქორებს“. ამის შემხედვარე ჭეიშვილმა მაჩიტიძე კვირისათვის ნაკრებში გადაიყვანა, სადაც იგი ნახევარფინალში ისევ გადაეყარა „ქორებს“ და ისევ სამჯერ დაალელოვა.

ამასობაში სტადიონზე გამოჩნდა რუსეთიდან ჩამოსული ნიკოლოზ იურინი. რაკი „გუმარს“ კვირას მაჩიტიძის გარდა შავლეგ ჯანელიძეც მოესაკლისებინა, „ბეირუთას“ შინიდან სასწრაფოდ მოატანინა ფორმა და ფინალის სათამაშოდ გაამწესა. ბოლო თამაშისთვის ნაკრები ჭაბუკთა ნაკრებისა და „ლელოს“ შინდისფერ კვართებში გამოეწყო, მერე გუნდებმა სურათები გადაიღეს და ნანატრი მატჩიც დაიწყო.

გაშინდისფრებამ ნაკრები მონუსხა — პირველად მე-13 წუთზეღა შეუტიეს სალისაბონოდ შეგულვებულებმა. „გუმარი“, პირიქით, თავიდანვე ერთობ შემართული ჩანდა. მას ამჯერად მოძღვრავდა ნუკრი ხვედელიძე, რადგან გუნდის უფროსი მწვრთნელი გურამ მოდებაძე („ბურძგლა“), იმავდროულად დიდი ნაკრების მწვრთნელიც რომაა, უთუოდ კოლეგიალური მოსაზრებების გამო გარიდებოდა საშვიდკაცო ნაკრების უფროსობასთან შეჯიბრს.

გუმარელებმა სულ ბდღვირი ადინეს რჩეულებს. ანგარიში 17:0 რომ გახდა, ხვედელიძემ ხუმრობით დაუძახა მეტოქეებს, დახიეთ ლისაბონის ბილეთებიო. მერე და მერე „ბეირუთამ და კომპანიამ“ ანგარიში 36:0-მდეც კი აიყვანეს, მაყურებლებს კი ხორხოცი აეტეხათ, „ცუნცულას“ (ჭეიშვილის) ნაცვლად ნაკრები „ჯლაგოს“ (ხვედელიძეს) ჩავაბაროთო.

და მაინც, არა გვგონია, ამ სასტიკი მარცხის შემდეგაც სალისაბონო შემადგენლობა დიდად რომ შეიცვალოს. ისე კი, ერთი-ორი გამარჯვებულის ამატება ნამდვილად არ აწყენდა ნაკრებს, თუმც კი ეს ოდენ მწვრთნელის საქმეა.

ზაზა ფხაკაძე

30 მაისიდან 2 ივნისამდე თბილისის ცირკში გაიმართება
საქართველოს მესამე პირველობა

**კიკბოქსინგში**

18 წლამდე და უფროსთა კატეგორიებში მონაწილეობენ სხვადასხვა სტილის — კარატე, კუნფუ, უშუ და ა.შ. მიმდევრები.

ასპარეზობის მსურველებმა დარეკეთ 31 - 02 - 79, 99 - 70 - 04

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ჩემპიონთა თასის ფინალი. რომა
22 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — აიაქსი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

რუსეთის ჩემპიონატი. გადმოტანილი მატჩები
21 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამაზი — ალანია | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| როტორი — ჩერნომორეცი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — ურალმაში | 1,1 | 3,3 | 7,0 |

გერმანიის თასის ფინალი
25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — კარლსრუე | 3,0 | 3,0 | 1,6 |

## ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,2 |
| იტალია | 2,2 |
| გერმანია | 2,5 |
| ჰოლანდია | 5,0 |
| ესპანეთი | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 |
| ხორვატია | 10,0 |
| რუსეთი | 10,0 |
| დანია | 15,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| რუმინეთი | 20,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| ბულგარეთი | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| თურქეთი | 100,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | 1-1 | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | 5-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 8-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 2-2 | 1-0 | 1-0 | 3-2 | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 2-2 | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | 1-3 | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | 2-0 | 1-2 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | 0-3 | 1-2 | 2-1 | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | 1-0 | 3-0 | 0-4 | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | 2-1 | 0-1 | 3-1 | 2-3 | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | 4-3 | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | 0-2 | 1-3 | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | 1-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 2-2 | 2-3 | 1-3 | 0-1 | 3-8 | 1-1 | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | 3-1 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 8-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | 2-3 | 1-5 | 0-0 | 5-0 | 2-5 | 1-0 | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | 2-4 | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 5-0 | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | ■ | 0-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | 1-0 | 4-1 | 3-1 | 5-2 | 1-0 | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | 0-3 | 2-2 | 3-1 | 0-0 | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | 0-1 | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 1-2 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | 3-0 | ■ | 1-6 | 0-2 | 0-2 | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | 2-2 | 3-2 | 0-1 | 2-0 | 1-4 | 3-2 | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | 2-0 | 5-0 | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | 3-2 | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 3-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-2 | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | 1-4 | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | 0-3 | 2-2 | 1-0 |
| 7 | SC FREIBURG | 2-1 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | 2-2 | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | 2-2 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 2-1 | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | 0-1 | 0-3 | 2-0 | 1-2 | 3-3 | 2-1 |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | 2-0 | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | 1-2 |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | 2-2 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | 0-2 | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | 2-0 | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 3-3 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | 2-3 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 3-1 | 0-1 | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | 3-2 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 2-2 | ■ |

კალათბურთი

## სუპერფინალის მოლოდინში

**ვითა — სდასუ**
**88:75, 100:70**

14 მაისი

ვითა: ტურაშვილი (4), ორმოცაძე, ჩხეიძე (4), კოკოლიშვილი (6), ქარაბაკი (16); კობეშავიძე (10), სანაძე (8), შენგელია (14), ბოისა (9), თორთლაძე (7)

სდასუს: ქევხიშვილი (4), ჩხეიძე (11), გაბრიჩიძე (7), ნიკოლაძე (19), ჩუბინიძე (8); ეგუტია (5), გიგაური (21), ძიძიგური

15 მაისი

ვითა: თორთლაძე (6), სანაძე (11), დადიანი (19), ქარაბაკი (10), შენგელია (15); აბრამიძე (2), ჩხეიძე (6), ორმოცაძე (15), კოკოლიშვილი (10), ბოისა (6)

სდასუ: ჩხეიძე (2), გაბრიჩიძე, ეგუტია (11), ნიკოლაძე (4), ჩუბინიძე (21); ქევხიშვილი (10), ძიძიგური (11), დ. ბერიშვილი (6), ახობაძე (3), ი. ბერიშვილი (2)

სდასუ, რა თქმა უნდა არ არის ის მეტოქე, რომელიც „ვითას" პრობლემებს შეუქმნიდა და „ვითამაც" გულიანად გაივარჯიშა სუპერფინალის წინ. ვითელებს დაშლილი „კაქტუსიდან" თორთლაძესთან ერთად რეზო ჩხეიძეც დაემატათ და უდერიუგინოდ და უნაცვლიშვილოდ მწვრთნელებმა ახალი სათამაშო სქემებიც მოინიშნეს. დიდი დრო დაჰყო მოედანზე ჯერაც ყმაწვილმა ნიჭიერმა მოთამაშემ ბოისამაც. ორ მატჩში სდასუ ერთადერთხელ იყო წინ — მეორე თამაშის დასაწყისში, როდესაც ჩუბინიძის ტყორცნების შემდეგ 4:2-ს იგებდა. დანარჩენი 58 წუთის განმავლობაში წინ „ვითა" იყო და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. თუმცა, პირველ მატჩში უნივერსიტეტელებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და თავისთვის საპატიო შედეგსაც მიაღწიეს.

**დინამო — ქიმიკოსი**
**99:71, 93:66**

14 მაისი

დინამო: მაისურაძე (11), ულენტი (8), ბეჟანიშვილი (15), კილაძე (15), სხიერელი (10); ჩიქოვანი (10), დარსაძე (6), ბერძენიშვილი (13), ოთიურიძე (11)

ქიმიკოსი: გურასპაული (20), გაბისონია (4), კეჭაყმაძე (4), მიქიაშვილი (6), გ. ბერუაშვილი (4); აბზიანიძე (7), კიკვიძე (3), ხაიაური (4), მ. ბერუაშვილი (13)

15 მაისი

დინამო: მაისურაძე (11), ულენტი (31), სხიერელი (8), ოთიურიძე (14), ცხვედიანი (18), ჩიქოვანი (5), ბერძენიშვილი (6)

ქიმიკოსი: აბზიანიძე (15); გაბისონია, კეჭაყმაძე (6), მიქიაშვილი (11), მ. ბერუაშვილი (15); კოჭლამაზაშვილი, კიკვიძე (2), წიკლაური, ხაიაური (7), გურასპაული (2), გ. ბერუაშვილი (8)

რუსთაველებს საკმაოდ გრძელი სკამი აქვთ, სასტარტო ხუთეულის შემცვლელებიც კარგი დონის კალათბურთელები არიან, არც ძალა აკლიათ, არც სიმაღლე. გამოკვეთილი ლიდერები ჰყავთ — მიხეილ ბერუაშვილი და, რა თქმა უნდა, პაატა გურასპაული. რუსთაველებმა არაერთ მატჩში დაიმსახურეს მაყურებელთა სიმპათია გაახრებული თამაშით, ამიტომაც მაყურებელს ჰქონდა პატარა იმედი იმისა, რომ რომელიმე მატჩში რუსთაველები ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ლიდერებს, მაგრამ „დინამომ" ეს იმედები გააქარწყლა. პირველი შეხვედრა, გურასპაულის და ბერუაშვილის მონდომების მიუხედავად, „დინამომ" აშკარა უპირატესობით მოიგო. მშვენივრად ითამაშეს ბეჟანიშვილმა, კილაძემ, ჩიქოვანმა და მაყურებელი მეორე მატჩის იმედად დარჩა. მართლაც, მეორე შეხვედრა ისე დაიწყო, რომ გულშემატკივართაგან ვილაცამ წამოიძახა კიდეც, ნახეთ, თუ მესამე მატჩიც არ გახდეს საჭიროო, მაგრამ „დინამომ" ბოლომდე სერიოზულად ითამაშა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. უნდა ითქვას, რომ ფინალის წინ „დინამო" შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩერქეზიშვილისა და დარსაძის არყოფნისას უკანა ხაზზე ულენტი და მაისურაძე გამოვიდნენ და შესანიშნავადაც. არჩილ ულენტმა, საერთოდ, ბრწყინვალედ ითამაშა — 31 ქულა მოუტანა გუნდს. მათ შორის 6 სამქულიანით. გაახრებულ კალათბურთს თამაშობენ ცხვედიანი და ოთიურიძე. კარგად ითამაშეს სხიერელმა და ჩიქოვანმაც. მოკლედ, სუპერფინალი, რომელიც 23 და 24 მაისს გაიმართება (თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში მესამე მატჩი 27-შია), გულშემატკივრებს არ გააწბილებს. პარალელურად მოეწყობა მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც „ქიმიკოსი" და სდასუ შეხვდებიან.

კოტე მგალობლიშვილი

კარატე

## შიტო-რიუ: 10-დან 18-მდე

ახლახან ჩატარდა საქართველოს კარატე-დო შიტო-რიუს ფედერაციის IV ჩემპიონატი 10-დან 18 წლამდე ასაკის ვაჟებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში.

ჩემპიონატში მონაწილეობდა 12 კლუბის 150 სპორტსმენი, მათ შორის რუსთავის, საგარეჯოს, ზუგდიდის და დმანისის წარმომადგენლებიც.

**10-11** წლის მოზარდებში **30** კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი სეთურიძემ (მორკინალი), მეორე — ირაკლი ტყებუჩავამ (სოდანი), მესამე — გიორგი დანელიამ (იმედი-2 000).

**40** კგ წონაში პირველი იყო ვახტანგ კობიძე (მორკინალი), მეორე — მალხაზ ოდიკაძე (არქტოსი, რუსთავი), მესამე — მამუკა ქურხული (სოდანი).

**40** კგ-ზე მძიმეებში ყველას აჯობა ბექა არახამიამ (სოდანი), მეორე ადგილი წილად ხვდა ლევან ჯულაკიძეს (მორკინალი), მესამე — აკაკი ახობაძეს (სარბიელი).

**12-13** წლიანებში **40** კგ-ში უძლიერესი იყო რამაზ ჰიაურელი (საგარეჯო), მეორეზე გავიდა შოთა ალექსიშვილი (საგარეჯო), მესამეზე — გიორგი შიოშვილი (საგარეჯო).

**40** კგ-ზე მძიმეებში გაიმარჯვა ვასიკო ჭონიშვილმა (სოდანი), მეორე იყო გაიოზ კაჭეიშვილი (არქტოსი), მესამე — ვაჟა ბოძაშვილი (არქტოსი).

**14-15** წლიანებში **55** კგ წონაში პირველ ადგილზე გავიდა მიხეილ ბენაშვილი (არქტოსი), მეორეზე — სერგო გურგენაშვილი (ნაციონალი), მესამეზე — რამაზ წიკლაური (არქტოსი).

**55** კგ-ზე მძიმეებში იმარჯვა სერგო ბონდარენკომ (სოდანი), მეორე ადგილი ერგო გიორგი ბოლქვაძეს (სარბიელი), მესამე — ლაშა ბოლქვაძეს (სარბიელი).

**16-17** წლიანებში **65** კგ-ში პირველი ადგილი დაიკავა თემურ მირზოიანმა (არქტოსი), მეორე ვლადიმერ ვართანოვმა (არწივი), მესამე რამაზ კვაჭანტირაძემ (სარბიელი).

**65** კგ-ზე მძიმეებში საუკეთესო იყო ირაკლი დაშნელი (სოდანი), მეორე — ზურაბ ყარაშვილი (არწივი), მესამე — გიორგი მარიამიძე (მორკინალი).

ფედერაცია უახლოეს მომავალში აპირებს ტრადიციული მესამე ტურნირის, „კოკა-კოლა კავკასიონის" პრიზის გათამაშებას.

ჭადრაკი

## ფიდეს კვარტალური ბალანსი

როგორც წესი, წელიწადში ორჯერ — 1 იანვარსა და 1 ივნისს ფიდე აქვეყნებს მსოფლიოში უძლიერესი 100 ვაჟის, 50 ქალის, 20 გოგონასა და ამდენივე ჭაბუკის რეიტინგ-ლისტებს. ახლახან ფიდემ საშუალედო ანუ კვარტალური რეიტინგების გამოანგარიშება-გამოქვეყნება შემოიღო.

ამას წინათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ფიდეს შტაბ-ბინიდან მიიღო 1996 წლის აპრილის საშუალედო (იანვარი — მარტი), ანდა, როგორც ამბობენ, საკონტროლო რეიტინგები. გავეცნოთ ჩვენი მოწინავე მოჭადრაკეების საკონტროლო რეიტინგებს.

მაგრამ მანამდე, ისიც ვნახოთ, ვინაა ახლა მსოფლიოს №1 მოჭადრაკე. 1 იანვრისათვის გარი კასპაროვმა და ვლადიმერ კრამნიკს ერთნაირი რეიტინგი ჰქონდათ 2775. განვლილ სამ თვეში კასპაროვმა თავის რეიტინგს 6.50 პუნქტი შემატა და 2781.50 გაიხადა. კრამნიკმა პირიქით — 13.50 პუნქტი დაიკლო და 2761-ით სიაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეორე ადგილზეა ანატოლი კარპოვი — 2770.20, რომელმაც მხოლოდ 0,20 პუნქტი შემატა. მოკლედ, პირველი მოჭადრაკე კვლავაც მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვია.

ქართველ მოჭადრაკეთაგან უძლიერესთაგან უძლიერესთა ასეულში არიან: 16. ზურაბ აზმაიფარაშვილი 2660; 74. გია გიორგაძე 2590. აპრილის მონაცემებით აზმაიფარაშვილის რეიტინგი არ შეცვლილა, მაგრამ ზურაბმა ერთი ადგილით წაინაცვლა. მას ადგილი „დაუთმო" ელვესტმა (ესტონეთი), რომელმაც მხოლოდ ერთი პუნქტი დაკარგა. არც გიორგაძეს შეცვლია რეიტინგი, მაგრამ ორი ადგილით უკან დაიხია. სხვებმა გაიუმჯობესეს რეიტინგები. ჩვენს ღიდოსტატებს ზამთარში არსად უთამაშიათ და ამიტომაც „გაეყინათ" რეიტინგი.

ქალთა უძლიერესთა ათეულში კვლავ არიან: 4. მაია ჩიბურდანიძე 2535.70; 7. ნანა იოსელიანი 2491.20; 8. ქეთევან არახამია 2480. პირველი სამეული კი ასეთია: 1. იუდით პოლგარი 2675. 2. ჟუჟა პოლგარი 2566.10; 3. პია კრამლინგი 2548.80.

თუ შევადარებთ ჩვენების ახალ მონაცემებს იანვრის რეიტინგებთან, დავინახავთ: ჩიბურდანიძემ ერთი ადგილით აინაცვლა და რეიტინგიც (2515) 20.70 პუნქტით გაიუმჯობესა. ეს ნამატი მას 8 მარტისადმი მიძღვნილ ბელგრადის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებამ მოუტანა. სიაში მე-5 ადგილზეა სე ჟუნი, რომელიც თებერვალში ჟუჟა პოლგართან დამარცხდა მსოფლიოს პირველობის მატჩში. იოსელიანმა იანვრის რეიტინგს (2485) 6.20 პუნქტი შემატა. ზამთარში არახამიას არსად უთამაშია და რეიტინგიც უცვლელი დაურჩა.

უძლიერესთა სიაში ნონა გაფრინდაშვილმა 22-ე ადგილზე გადაინაცვლა — ძველ რეიტინგს (2380) 2.20 პუნქტი შემატა. გვარიანად წაიწია ნინო ხურციძემ: 31-დან 25-ე ადგილზე. იანვრის რეიტინგს (2365) მან 10.80 პუნქტი შემატა და ახლა 2375.80 აქვს. ქეთევან კახიანი მე-16 ადგილზეა, თუმცა რეიტინგი (2390) არ შეცვლია. იანვარში იგი მე-19 ადგილზე იყო. ასევე წაინაცვლა ნინო გურიელმაც: 34-დან 33-ე ადგილზე, თუმცა იანვრის რეიტინგი (2360) უცვლელი დაურჩა.

**20** წლამდე გოგონათა უძლიერეს ოცეულში არიან: 11. მაია ლომინეიშვილი 2305.30 (ნამატი 0.30) და 18. მირანდა ხორავა (ნამატი 34.20).

თენგიზ ნინოშვილი

## კრივი

### დონ კინგი

დაიბადა 1931 წლის 20 აპრილს კლივლენდში (ოჰაიო, აშშ).

1954 წლის 12 თებერვალს იქვე იარალით დაცხრილა ჰილარი ბრაუნი, ვინაც გაუძარცვა არალეგალური ტოტალიზატორი. კინგმა თავი იმართლა, თავს ვიცავდიო და გაამართლეს.

1966 წლის 20 აპრილს დააპატიმრეს. მან ცემით მოკლა ხელქვეითი სამუელ გარეტი, ვისაც კინგის 600 დოლარი ემართა. როცა სამუელმა წამოიძახა, „დონ, ფულს დაგიბრუნებო", კინგმა მას ბოლოჯერ ჩაა-ზილა წიხლი. გარეტი ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

1967 წლის 23 თებერვალს კინგი მეორე კატეგორიის მკვლელობაში დაადანაშაულეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. რვა თვის შემდეგ სასჯელი 20 წლამდე შეუმცირეს.

1971 წლის 30 სექტემბერს კინგი მოულოდნელად გაამართლეს და გაანთავისუფლეს.

1972 წლის 28 აგვისტოს მუჰამედ ალის უარი ათქმევინა კლივლენდში დაგეგმილ ორთაბრძოლაზე.

1973 წლის 22 იანვარს იამაიკაში ეახლა ფრეზერს, მისი და ფორმენის ბრძოლის სანახავად. კუნძულიდან ფორმენის ფინანსურ პარტნიორად გაემგზავრა.

1984 წლის 13 დეკემბერს ამერიკის ფედერალურმა სამძებრომ კინგს და მის მდივან ქალ კონსტანსი ჰარპერს შემოსავლების დამალვა დააბრალა.

1985 წლის 19 ნოემბერს ნიუ-იორკში კინგი გაამართლეს, მდივანი კი ორი წლით ჩასვეს.

1986 წლის 20 მაისს „მედისონ სქვერ გარდენის" რინგზე კინგმა პირველად გაიყვანა მაიკ ტაისონი და მიჩ გრინთან აჩხუბა.

1987 წლის 15 იანვარს კინგმა მიიღო მარტინ ლუთერ კინგის სახელობის პრემია კაცობრიობის წინაშე ღვაწლისათვის.

1990 წლის 7 ივლისს კინგმა უჩივლა კაზინოს მფლობელ სტივ ვინს, რადგან მან მიითვისა ტაისონისა და ბასტერ დაგლასის ბრძოლის ორგანიზება. ვინსმა 4,5 მილიონი ჯარიმა გადაიხადა.

1994 წლის 14 ივლისს კინგი დააპატიმრეს საგადასახადო ყალთაბანდობისათვის.



# შულერი, მთელს კრივის სამყაროს კუკებსავით რომ ათამაშებს

საახალწლო „სარბიელში" იყო, ჩვენმა მესვეტემ მაიკ ტაისონის გადია, მენეჯერთა მენეჯერი დონ კინგი მსოფლიო აფერისტად რომ მოიხსენია. მერე იყო და მკითხველებმა აგვიკლეს, ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიეთ, პროფესიულ კრივს ამდენი „ხაზეინი" (მმართველი გაერთიანება) რად სჭირდებაო, ამ ორშაბათს კი უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ნიუ-ჯერზის სააპელაციო სასამართლოს ამ ერთხელაც უარუყვია კინგ-ტაისონის მორიგი სარჩელი და უცვლელი დაუტოვებია ადრინდელი განჩინება, ტაისონს ბრუს სელდონთან ჩხუბს რომ უკრძალავს მანამ, სანამ ლენოქს ლუისს არ ეკრივება. აქვე ვთქვათ, რომ ტაისონი ჰბკ-ის ჩემპიონია, სელდონი — ჰბა-ისა, ლუისს კი ჰბკ-ის მარტამდელ ჩემპიონ ფრენკ ბრუნოსთან ტაისონზე უწინარეს ეკუთვნოდა შებმა, მაგრამ ვერაგმა კინგმა მოასრიალა.

ამ დღეში ვიყავით, გერმანული „შპორტ-ბილდი" რომ ჩაგვივარდა ხელთ, სადაც კინგის ბიოგრაფიაც ეწერა და ოთხივე გაერთიანების ავან-ჩავანიც. უკეთესს რას ვიზამდით და ერეკლე კიკილაშვილს ყველაფერი ქართულად ვათარგმნინეთ.

### IBF

საერთაშორისო ფედერაცია 1984 წელს დააარსა რობერტ ლიიმ აშშ-ის კრივის ასოციაციის ბაზაზე. ლი მანამდე მსოფლიო ასოციაციის (WBA) პრეზიდენტი იყო, მაგრამ მენდოსამ სავარძელი წაართვა.

IBF ერთადერთსა აქვს ოფისი აშშ-ში — ნიუ-ჯერზის ქალაქ ისტ-ორინჯში.

პრეზიდენტი რობერტ ლია, მძიმეწონოსანი ჩემპიონის გამოსავლენად 22 ივნისს დორტმუნდში შეიბნებიან აქსელ შულცი (გერმანია) და მაიკლ მორერი (აშშ), სხვა წონების ცნობილი ჩემპიონები კი პენრი მასკე (გერმანია), როი ჯოუნზი (აშშ) და თერი ნორისი (აშშ) არიან.

### WBA

მსოფლიო ასოციაცია შეიქმნა 1962 წელს ამერიკის ეროვნული ასოციაციის ბაზაზე. ოფისი მარაკაიბოში (ვენესუელა) აქვს.

პრეზიდენტია იქაური ხილბერტო მენდოსა, მძიმეწონოსანი ჩემპიონი — ბრუს სელდონი (აშშ), სხვა ჩემპიონები კი ვერჯილ პილი (აშშ) და ხულიო სესარ ვასკესი (არგენტინა).

### WBC

მსოფლიო საბჭო 1963 წელს დაარსდა. წევრად 100 ქვეყანაზე მეტი ჰყავს.

ოფისი მდებარეობს მეხიკოში. პრეზიდენტია იქაური ხოსე სულეიმან შანიონი, მძიმეწონოსანი ჩემპიონი ტაისონი, სხვა ჩემპიონები კი თერი ნორისი (აშშ), პერნელ ვითიქერი (აშშ) და ხულიო სესარ შავესი (მექსიკა) არიან.

### WBO

მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა 1988 წელს. ოფისი სან ხუანში (პუერტო რიკო) აქვს. პრეზიდენტია იქაური ფრანცისკო ვალკარსელი, მძიმეწონოსანი ჩემპიონი რიდიკ ბოუ (აშშ), სხვა ჩემპიონები კი რალფ როკიჯანი და დარიუშ მიხალჩევსკი (ორივე გერმანია) და ოსკარ დე ლა პოია (აშშ) არიან.

### VI ეტაპი

მონაკოს დიდი პრიზი
მონტე-კარლო
19 მაისი

ტრასის სიგრძე 3,328 კმ. დისტანცია: 78 წრე 259,584 კმ.

საუკეთესო დრო კვალიფიკაციაში: შუმახერი (ბენეტონ-ფორდი, 1994) 1.18,560 (152,505 კმ-სთ). საუკეთესო დრო წრეზე რბოლისას: შუმახერი (1994) 1.21,076 (147,772 კმ-სთ). გამარჯვებულის საუკეთესო დრო: შუმახერი (1994). 1:49.55,372 (141,691 კმ-სთ).

შარშანდელი შედეგები. კვალიფიკაცია: ჰილი (უილიამს-რენო) 1.21,952. საუკეთესო წრე რბოლისას: ალეზი (ფერარი) 1.24,621 (141,581 კმ-სთ). გამარჯვებული: შუმახერი (ბენეტონ-რენო) 1:53.11,258 (137,603 კმ-სთ)




ევროპის ჯუჯა სახელმწიფოს დიდი პრიზი 53-ედ ტარდება (პირველად 1929 წელს გაიმართა), აქედან მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლაში — 42-ედ. რბოლა მონტე-კარლოს ვიწრო, გასწრებისათვის მოუხერხებელ ქუჩებში იმართება. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნელსონ პიკემ (ბრაზილია) იგი ოთახში ვერტმფრენით ფრენას შეადარა. ყველაზე მეტი — ექვსი გამარჯვება ამ პრესტიჟულ რბოლაში აირტონ სენას აქვს მოპოვებული. დღევანდელი პილოტებიდან მთავარი პრიზიდ მონაკოს ჰერცოგის ხელიდან მხოლოდ მიხაელ შუმახერს მიუღია (1994-95 წლებში).

სტარტ-ფინიშის სწორს მოასპარეზეები მეექვსე გადაცემით (230-250 კმ-სთ) გადიან და პირველ მოსახვევში („სენ-დევო") სიჩქარეს 150 კმ-სთ-მდე (მეორე გადაცემა) ამცირებენ. შემდეგი აღმართი („ბო-რივაჟი") ტრასის ის მონაკვეთია, სადაც მძლავრი ძრავის უპირატესობის გამოყენება შეიძლება, დაახლოებით მის შუა წელში, ბარ „ჩეტემთან" სიჩქარე 230 კმ-სთ-ს (მეექვსე გადაცემა) აღწევს. აქ ბარის პირდაპირ ვეება ტელეეკრანია დამონტაჟებული, რომელზეც 1991 წლის რბოლისას სენამ დაინახა, თუ მისგან რა მანძილზე, ტრასის რომელ მონაკვეთზე იყვნენ მდევრები პროსტი და მენსელი. შემდეგ მოსახვევს — „მასნეს" პილოტები მეოთხე გადაცემით (150 კმ-სთ) გადიან და ყველასათვის ცნობილ მონტე-კარლოს კაზინოს წინ მოედანზე აღმოჩნდებიან, რომელსაც მარჯვენა 90-გრადუსიანი მოსახვევითტოვებენ და 150 კმ-სთ სიჩქარით ეშვებიან სანაპიროსაკენ. მკვეთრი დამუხრუჭების შემდეგ მეორე გადაცემით (90 კმ-სთ) გადიან „მირაბოს" მარჯვენა მოსახვევს, შემდეგ მესამე (120 კმ-სთ) და 180-გრადუსიანი, მეტად ვიწრო „ლუის" მარცხენა მოსახვევი, რომელსაც 80 კმ-სთ სიჩქარით (მეორე გადაცემა) გადიან, გამოსვლისას კი პირველ გადაცემას რთავენ. შემდეგ კვლავ მარჯვენა მოსახვევი — „პორტიე" (მეორე გადაცემა, 100 კმ-სთ) და გვირაბის შესასვლელი. 1988 წელს ამ ადგილას, 67-ე წრეზე ლიდერობის შემდეგ, როცა მეორე ადგილზე მყოფ პროსტს 53 წამს უგებდა, სენამ ყურადღება მოადუნა და — პირდაპირ შიგ „ჰიუსტონ პალასის" აპარტამენტებში შეიჭრა, გამარჯვება კი ფრანგს დარჩა. გვირაბს პილოტები მეექვსე გადაცემით გადიან, გამოსვლისას კი მაქსიმალურ სიჩქარეს აღწევენ (რეკორდი 283 კმ-სთ სენამ 1989 წელს დაამყარა). იქვე S-ის მაგვარ, „ახალ შიკან" მოსახვევში მეორე გადაცემით (120 კმ-სთ) შედიან. ეს სანაპიროზე გამავალი ადგილი ადრე ქვის დაბალი ბორდიურით იყო შემოსაზღვრული, რაც ალბერტო ასკარისა და ავსტრალიელ პოლ ჰოკინსს ბანაობად დაუჯდათ. შემდეგ, „საცურაო აუზის" მოსახვევთა სისტემას პილოტები 120 კმ-სთ სიჩქარით (მეორე და მესამე გადაცემა) გაივლიან და შედიან „ლა რასკასის" მარჯვენა მოსახვევში, სადაც კვლავ უხდებათ პირველი გადაცემის ჩართვა. ბოლო, „ანტუან ნოგეს ვირაჟის" 100 კმ-სთ (მეორე გადაცემა) გავლის შემდეგ სიჩქარე თანდათან მატულობს და სტარტის ადგილს პილოტები მეექვსე გადაცემით გადიან.

როგორც ხედავთ, ტრასა ნელი, მაგრამ რთულია, პილოტებისაგან დიდ ყურადღებასა და ოსტატობას მოითხოვს. მათ რბოლის განმავლობაში დაახლოებით 3 500-ჯერ (ყოველ 1,6 წამში) უხდებათ გადაცემის გამოცვლა. თუ ამას დავუმატებთ სხვადასხვა არასტანდარტულ სიტუაციას, დავინახავთ, თუ რა მძიმე ჯაფა ადგათ.

წელს მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნება დეიმონ ჰილს. იგი ხომ ერთპიროვნული ლიდერია და ბოლიდიც საუკეთესო აქვს. და მაინც, დიდი მნიშვნელობა ექნება პოულ-პოზიციას და რბოლის სწორი ტაქტიკის არჩევას, რითაც „უილიამსის" გუნდი ჭერჭერობით ვერ დაიკვეხნის.

ალეკო ჟაბუკიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

მაიკლ ჯორდანი რომ ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამასთან მაიკლი კალათბურთელთა შორის თავაზიანობითა და მოკრძალებითაც ყოფილა გამორჩეული.

ამაში ჟურნალ „BASKET"-ის კორესპონდენტი პეტერ გარზარზიკიც დარწმუნდა, რომელსაც თავს ასეთი რამ გადახდა: „ჩიკაგო ბულზისა" და „იუტა ჯაზის" თამაშის წინ ის „იუტას" გასახდელში შევიდა, რათა ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ნახევარი საათით ესარგებლა და კარლ მელოუნისაგან ინტერვიუ აეღო. „გაქრი აქედან! წაეთრიე შენს დამპალ გერმანიაში და არ დაგავიწყდეს ჩემი სიტყვების დაბეჭდვა" — უყვირა ჟურნალისტს მელოუნმა.

გაოგნებული გარზარზიკი მატჩის შემდეგ ჩიკაგოელების გასახდელში შევიდა და თავისი გულისტკივილი „ბულზის" მენეჯერს ტიმ ჰალენს გაუზიარა. ამ ამბავს ყური ჯორდანმა მოჰკრა, ჟურნალისტს კარლის სიტყვების გამო მოუბოდიშა და უთხრა — თუ კი ორიოდ წუთს გამონახავ ჩემთან სასაუბროდ, ბედნიერი ვიქნებიო. დღეს სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ.

# ათიათასად ზრდილობა


Michael Jordan

— სპეციალისტები ახლანდელ „ჩიკაგო ბულზს" ნბა-ის ყველა დროის საუკეთესო გუნდად მიიჩნევენ. გულწრფელად გვითხარით, „ბულზი" მართლაც ასე კარგია?

— ჩვენ მართლაც გადასარევი გუნდი ვართ. სეზონი ფანტასტიურად დავიწყეთ. ვისწავლეთ თამაშის ტემპის კონტროლი და მოგებულ თამაშებს აღარ ვაგებთ. ამას გარდა, ჩინებული სათადარიგო კალათბურთელები გვყავს — სტივ კერი, ტონი კუკოჩი და სხვა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მხარში გვიდგანან და ზურგს გვიმაგრებენ.

— „იუტა ჯაზის" მწვრთნელი ჯერი სლენი ამ სეზონის „ჩიკაგო ბულზს" ნბა-ის ისტორიაში უძლიერეს გუნდად მიიჩნევს. ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?

— ამჟამად ნამდვილად ნბა-ის საუკეთესო გუნდი ვართ. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ჩვენ ხომ ჯერჯერობით არაფერი მოგვიგია. ერთი კი ფაქტია: ჩვენს გუნდს მტკიცე ნებისყოფა აქვს, რაც გასვლით თამაშებზეც დასტურდება. ჩემი აზრით, კარგი იმ გუნდს ეთქმის, რომელიც ყველა სიტუაციაში მოწოდების სიმაღლეზეა. როცა დენის როდმანი უპრობლემოდ შეეწყო კოლექტივს, მივხვდი, რაოდენ ძლიერნი ვიქნებოდით.

— რას ფიქრობთ როდმანზე, როგორც კალათბურთელზე?

— დენისი თხემით ტერფამდე პროფესიონალია და მოედანზე დიდ როლს თამაშობს. მისი თმის ფერი კი სულ არ მანაღვლებს, ვინ იცის, იქნებ იმიტომ, რომ თმა აღარა მაქვს. სანამ როდმანი თამაშში მთელ გულს დებს, ის ჩემი უახლოესი მეგობარია. დენისი მეტოქეთაგან დიდ ყურადღებას საჭიროებს. ეს ადრეც ასე იყო, როცა ჩვენ მის წინააღმდეგ ვთამაშობდით.

— „ჰიუსტონ როკიტსის" კალათბურთელებზე ამბობენ, სულით ჩემპიონები არიანო. „ბულზში" როგორღაა ამ მხრივ საქმე?

— ჩვენთან ისეთი მოთამაშეები არიან, რომლებიც ჯერ ჩემპიონები არ გამხდარან. ყოველმა ჩვენგანმა მიზანი უნდა დაისახოს, მაგალითად, 10-15 მატჩის ზედიზედ მოგება, ან კონფერენციაში პირველ ადგილზე გასვლა, ან ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ამიტომ ჩვენი დაცვის ხაზი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რადგან მხოლოდ კარგი დაცვის მქონე გუნდს შეუძლია ფრიადი შედეგის მიღწევა. რაც შეეხება „სულს", ჩვენ ამაზე ვზრუნავთ...

— „ჩიკაგო ბულზს" ბევრი ასაკოვანი მოთამაშე ჰყავს. საჩემპიონოდ „მოხუცები" ხომ არ ბრძანდებით?

— წლოვანება ხომ გამოცდილებასაც ნიშნავს. ამიტომაც კარგად ვიცით, როგორ უნდა მოვემზადოთ ყოველ თამაშისათვის. ნბა-ის მარათონში ფიზიკური გამძლეობა როდია მთავარი, მთავარი ფსიქოლოგიური მდგრადობაა. ჩვენ ვუწყით, სად და როგორ დავზოგოთ ძალები, შემდეგ უკეთეს შედეგს რომ მივაღწიოთ.

— „ჩიკაგომ" იანვრამდე მხოლოდ სამი მატჩი წააგო. ეს თქვენი მეტოქეების „დამსახურება" იყო?

— სხვა გუნდების სისუსტე-სიძლიერე ჩვენთვის სულ ერთია. კარგად ვთამაშობთ და ესაა მთავარი. სხვა გუნდებს არანაირი წვლილი არ მიუძღვით იმაში, რომ ჩვენ საუკეთესო ბალანსი გვქონდა. მე მართლაც მჯერა: ისეთი ძლიერები ვართ, რომ ყველა მატჩის მოგება შეგვიძლია. „ჩიკაგო ბულზს" ჟურნალისტები უკვე ფინალში ხედავენ, მაგრამ ეს იოლი როდი იქნება. ფინალზე მხოლოდ საშხაპეში ვსაუბრობთ ხოლმე ერთმანეთთან.

— ზერელედ ხომ არ ეკიდებით რომელიმე მატჩს?

— არავითარ შემთხვევაში, ეს გუნდისთვის დამღუპველი იქნებოდა. ჩემი აზრით, მეტოქე შენს გონებაში უნდა დაამარცხო. ნბა-ში 29 გუნდია, რომლებიც ბრწყინვალე კალათბურთელებით არიან დაკომპლექტებული. ზოგიერთი მათგანი ჩვენც გვჯობია, მაგრამ „ბულზი" მათ ამარცხებს, ამარცხებს საკუთარი თავდაჯერებით.

— ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი თუ ამუშავებს სროლისა და მოძრაობის ახალ ილეთებს და თუ შესაძლებელია რაიმე ახლის მოგონება?

— რა თქმა უნდა. ვცდილობ, სიახლე და არტისტულობა შევიტანო ჩემს თამაშში. საამისოდ დიდი შესაძლებლობებიც გამაჩნია. ხალხი ფიქრობდა, რომ წელს ისე ხშირად აღარ შევუტევდი კალათს, მაგრამ ჩატენვით ქულების მოგროვების „უფლებას" მეტოქე მცველები მაძლევენ. მაგრამ ეს არ არის ჩემი როლი გუნდში, ხალხს კი იმ ჯორდანისა და იმ თამაშის მანერის ხილვა სურს, რომელიც სამი წლის წინ იყო. მე ჩემი დღევანდელი თამაშითაც სავსებით კმაყოფილი ვარ.

— თქვენ და სკოტი პიპენი ერთად 50 ქულაზე, 16 მოხსნასა და 10 პასზე მეტს აკეთებთ თამაშში. არის კიდევ ნბა-ში თქვენი ბადალი დუეტი?

— მგონი, არა. შეტევაში კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი თუ შეგვედრებიან, დაცვაში კი ჩვენნაირი არავინ მეგულება. მე და სკოტი შეტევაშიც და დაცვაშიც თვალდახუჭულნი ვუგებთ ერთმანეთს.

— უთქვენოდ დარჩენილმა სკოტი პიპენმა თუ მოუმატა თამაშს?

— ის ყოველ მატჩში უმატებს. მაგრამ მთავარი აი რაა — დღეს სკოტი გუნდის ტვინია. სკოტი დღეს ისეთ ფორმაშია, რომ თავისი საუკეთესო თვისებების ჩვენება შეუძლია. მან ზუსტად იცის, რა და სად მოიმოქმედოს. ეს ყველაფერი ჩემი კალათბურთიდან წასვლის პერიოდში აითვისა. ჩვენ უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს, მე ვიცი, ბოლო მომენტში რას იზამს პიპენი, ის კი ჩემს ქმედებებს შიფრავს. ჩვენ ერთმანეთთან კი არ ვიბრძვით, არამედ ერთმანეთისთვის და გუნდისთვის.

— როცა „ბულზში" დაბრუნდით, გინდოდათ თუ არა ყველასათვის დაგემტკიცებინათ, რომ იგივე იყავით, რაც უწინ?

— ფლეი-ოფის წინ თამაში არ მინდოდა. უნდა მეღიარებინა, რომ ძალიან დავსუსტდი, ყველას შეეძლო ჩემთვის ბურთის წართმევა და სროლებშიც მოვიკოჭლებდი. ჩემმა თამაშმა მოლოდინი ვერ გაამართლა. ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ვიდრე ამ ათი თვის წინ.

— ადრე თქვით, რომ გსურთ ადგილი დაიმკვიდროთ კალათბურთის ისტორიაში. ახლაც იგივე მიზანი გამოძრავებთ?

— კვლავ მაქვს ასეთი სურვილი. ისეთ გუნდში ვთამაშობ, რომელსაც კალათბურთის მატიანეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცლის შევსება შეუძლია. ვისურვებდი სეზონში 50 მატჩი მოვიგო და ჩემპიონის ტიტული მოვიპოვო. გულშემატკივრებს მხოლოდ ჩემპიონები ახსოვთ და უყვართ.

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა

## სიფრთხილეს თავი არა სტკივა

ატლანტის ოლიმპიური სტადიონის გახსნამდე და ზედ პირველი მძლეოსნური გრან-პრის გამართვამდე ოთხი დღე რომ რჩებოდა, კინაღამ მორიგი უბედურება დატრიალდა. მავან მუშას მოხვდა ჩამოვარდნილი ფოლადის ღერო და თუმც არ მოუკლავს, ჭრილობის გაკერვა მაინც საჭირო შეიქნა. არადა, შარშან ამ სტადიონის მშენებლობამ უკვე შეიწირა ერთი მშენებელი — მაშინ ამწე წაიქცა.

იმავე დღეს ხელისუფლებამ ოლიმპიადის მონაწილეთა და სტუმართა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა გამოაქვეყნა. როგორც ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა ბრძანა, მოსალოდნელია ტერორისტული აქტები, რის გამოც მთავრობის მიერ საოლიმპიადოდ გამოყოფილი 227 მილიონი დოლარიდან 70 მილიონი უსაფრთხოებას მოხმარდება.

ორგკომიტეტი ჩაფრის ტანისამოსში გამოწყობილ 13 ათას კაცს გამოიყვანს, ქალაქი და ჯორჯიის შტატიც გამოყოფენ წესრიგის დამცველებს, ძიების ფედერალური ბიურო და თავდაცვის დეპარტამენტი კი 10 ათას გადაცმულ აგენტს გაამწესებენ. დასაცავ სუბიექტთა ჯამური რაოდენობა 35 ათასია. ერთი სიტყვით, თამაშების დროს თითო მონაწილეს ლამისაა თითო მეთვალყურე ეყოლება.

თენგიზ არტამონოვი

დაგვეპატენტებინა

## მესხის ფინტი

ამერიკის „სამართლის ჟურნალში" საგულისხმო სტატია გამოაქვეყნა სპორტულმა იურისტმა რობერტ კუნშტადტმა. იგი წერს, დროა სპორტშიც ვიფიქროთ საავტორო უფლების დაცვაზეო. ავტორს მაგალითად მოყავს ამერიკელი დიკ ფოსბიური, ვინაც 1968 წელს მოიგონა სიმაღლეზე ხტომის პრინციპულად ახალი სტილი, მერე და მერე მთელმა მსოფლიომ რომ აითვისა და დღესდღეობით უმისობა ველარც წარმოგვიდგენია.

კუნშტადტის აზრით, სპორტსმენებმა უნდა დააპატენტონ თავიანთი ილეთები და ფანდები. ამის შემდეგ, ვინც მათ იხმარს, შემოსავლის წილი, თუნდაც სიმბოლური, ნოვატორს უნდა შეაწიოს, ამას კი, თავის მხრივ, შემოსავლის საქველმოქმედო ფონდებისთვის შეწირვა შეეძლებაო.

ვასილ გუჩმაზაშვილი

# საერთაშორისო რაგბი


დურბანის ნატალის გარემარბი
ჯეიმზ სმოლი

## ამ უქმეებზე

სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყნების პროვინციათა პირველი პროფესიული ჩემპიონატის — ზე-12-ის ნახევარფინალებია: ხვალ, ბრისბენში, „ბალიმორზე", ავსტრალიის ქვინზლენდი მასპინძლობს სამხრეთი აფრიკის ნატალს, ზეგ კი, ოქლენდის „იდენ პარკზე", ახალი ზელანდიის ოქლენდი — აფრიკისავე ჩრდილოეთ ტრანსვაალს. გამარჯვებულები 25 ან 26 მაისს ფინალში შეებმიან ერთმანეთს.

ხვალ და ზეგ ფავორიტებად მასპინძლები მიიჩნევიან, მით უფრო, თუ წრიულ ეტაპზე ორივემ დამარცხა მეტოქე: ქვინზლენდმა ნატალს მისსავე მოედანზე, დურბანში, 5 მაისს 21:20 მოუგო, ოქლენდმა კი 7 აპრილს, აღდგომა დღეს, შინ 30:26 დაამარცხა პრეტორიელი სტუმარი.


სიდნეის ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზის" მცველი
მეთიუ ბერქი

| მელელოვეები: | |
|---|---|
| 12 | სმოლი (ნატალი) |
| 9 | ა. უუბერი (ნატალი), ვიდირი (ოქლენდი) |
| 8 | სვარტი (დას. კონცხი), თიუნი (ქვინზლენდი), მერდოქი (ახ. სამხრ. უელსი) |
| 7 | ბლაუერსი (ოქლენდი), როფი (კანბერა), ქალენი (ველინგთონი) |
| 6 | ლიმა (ოთაგო), თომსონი (ნატალი), ფენუკიტაუ (კანბერა), ქლარქი (ოქლენდი), ვილსონი (ოთაგო), პარდი (კანბერა) |
| 5 | ლომუ (ოქლენდი), მორგანი (ქვინზლენდი), ბერქი (ახ. სამხ. უელსი), ტონუუ (ოქლენდი) |

### წრიული შეჯიბრის სტატისტიკა

66 თამაშიდან მასპინძლებმა მოიგეს 46 (70,5 პროცენტი), სტუმრებმა — 19 (29,5 პროცენტი). მასპინძლებმა 15-ჯერ გაიმარჯვეს 1-7 ქულის სხვაობით და 12-ჯერ — 8-14 ქულით. ყველა სხვა ტიპის შედეგი 6-ზე მეტჯერ არ აღნუსხულა.

საშუალო შედეგიანობა მატჩზე 55,9 ქულა და 6,3 ლელო იყო. მოგებული წაგებულს საშუალოდ 36:20 ჯობნიდა (ლელოებით 4,2-2,2), მასპინძელი კი სტუმარს საშუალოდ 31:25 ამარცხებდა (ლელოებით 3,5-2,9).

ავსტრალიის გუნდებმა მოიგეს თავიანთ თამაშთა 63,6 პროცენტი, აფრიკის გუნდებმა — 46,6 პროცენტი, ხოლო ზელანდიისებმა — 44,5 პროცენტი. ავსტრალიელები უცხოელებთან 14 მატჩში შინ ერთადერთჯერ დამარცხდნენ. შინ ყველა თამაში მოიგეს ქვინზლენდმა, ოქლენდმა, ჩრდ. ტრანსვაალმა და კანბერამ.

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბერქი | ახ. სამხ. უელსი | 5 | 27 | 26 | 0 | 157 |
| ილზი | ქვინზლენდი | 0 | 23 | 33 | 0 | 145 |
| კრუგერი | ჩრდ. ტრანს | 1 | 16 | 31 | 2 | 136 |
| სტრანსკი | დას. კონცხი | 0 | 13 | 31 | 1 | 122 |
| ლოლესი | ტრანსვაალი | 4 | 14 | 21 | 0 | 111 |
| პონიბალი | ნატალი | 1 | 20 | 22 | 0 | 111 |

ვასრულებთ ყველა სახის ელექტრო, გაჯისა და სამღებრო („სამალიარო") სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (3 საათის შემდეგ) იკითხეთ თემური, ბიჭიკო

| ზე-12 სერიალი | | ქვინ | ოქლ | ჩრ.ტრ | ნატ | კანბ | ვაიქ | ა.ს.უ | ოთა | ველ | ტრ | დ.კონ | ქენთ | მ | ფ | წ | ბ | ლ | + | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდი | ავსტ | | 51:13 | 25:18 | 21-20 | 20-21 | 26:22 | 15:13 | 17-57 | 32-25 | 25-16 | 36:26 | 52:16 | 9 | 0 | 2 | 320:247 | 35-26 | 5 | 41 |
| ოქლენდი | ზელ | 13-51 | | 30:26 | 30-23 | 34-40 | 39:31 | 56:44 | 51:29 | 36-28 | 22-34 | 48:30 | 49-18 | 8 | 0 | 3 | 408:354 | 56-41 | 9 | 41 |
| ჩრდ. ტრანს | აფრ | 18-25 | 26-30 | | 30: 8 | 23:10 | 9-17 | 32:29 | 59:29 | 38:20 | 25:15 | 35- 7 | 34-18 | 8 | 0 | 3 | 329:208 | 31-23 | 6 | 38 |
| ნატალი | აფრ | 20:21 | 23:30 | 8-30 | | 31-44 | 63:25 | 34- 6 | 32-33 | 43-27 | 49:13 | 28:22 | 58:26 | 6 | 0 | 5 | 389:277 | 47-31 | 9 | 33 |
| კანბერა | ავსტ | 21:20 | 40:34 | 10-23 | 44:31 | | 18-26 | 10-44 | 70:26 | 35:28 | 13: 9 | 16-25 | 29- 7 | 7 | 0 | 4 | 306:273 | 37-29 | 4 | 32 |
| ვაიქათო | ზელ | 22-26 | 31-39 | 17: 9 | 25-63 | 26:18 | | 39:17 | 22- 5 | 15:23 | 23-26 | 44:17 | 27:26 | 6 | 0 | 5 | 291:269 | 32-27 | 4 | 28 |
| ახ. სამხრ. უელ | ავსტ | 13-15 | 44-56 | 29-32 | 6:34 | 44:10 | 17-39 | | 29:25 | 52:25 | 32:11 | 30-22 | 16-21 | 5 | 0 | 6 | 312:290 | 36-32 | 8 | 28 |
| ოთაგო | ზელ | 57:17 | 29-51 | 29-59 | 33:32 | 26-70 | 5:22 | 25-29 | | 15:44 | 29:15 | 52-25 | 29-27 | 5 | 0 | 6 | 329:391 | 39-49 | 6 | 26 |
| ველინგთონი | ზელ | 25:32 | 28:36 | 20-38 | 27:43 | 28-35 | 23-15 | 25-52 | 44-15 | | 32:16 | 25-35 | 13:36 | 3 | 0 | 8 | 290:353 | 31-41 | 5 | 17 |
| ტრანსვაალი | აფრ | 16:25 | 34:22 | 15-25 | 13-49 | 9-13 | 26:23 | 11-32 | 15-29 | 16-32 | | 23:26 | 55:23 | 3 | 0 | 8 | 233:299 | 25-32 | 4 | 16 |
| დას. კონცხი | აფრ | 26-36 | 30-48 | 7:35 | 22-28 | 25:16 | 17-44 | 22:30 | 25:52 | 35:25 | 26-23 | | 16-16 | 3 | 1 | 7 | 251:353 | 24-41 | 1 | 15 |
| ქენთებრი | ზელ | 16-52 | 18:49 | 18:34 | 26-58 | 7:29 | 26-27 | 21:16 | 27:29 | 36-13 | 23-55 | 16:16 | | 2 | 1 | 8 | 234:378 | 24-45 | 3 | 13 |

შენიშვნა: **99:11** — შინ, **22-88** — გარეთ. მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა ("+" გრაფა)

## აფროსნები

## თადარიგს იჭერენ

საშუალოს, გრინვიჩის დროით [illegible] საათზე ამოიწურა აფროსნობის უპრესტიჟულესი შეჯიბრის — ამერიკის თასის 30-ე გათამაშებაში მონაწილეობის განაცხადის შეტანის ვადა.

შეჯიბრი **1999-2000** წლებში უნდა გაიმართოს ახალ ზელანდიაში, ოქლენდის აკვატორიუმში. მასპინძელი ქვეყნის იახტა „ბლექ მეჯიქით" მოასპარეზე „თიმ ნიუ ზილენდმა" (კაპიტანი სერ პიტერ ბლეიკი) შარშან სან-დიეგოში მოუგო თასი ამერიკელებს, საუკუნის ბოლოს კი ზელანდიას მისი დაცვა მოუწევს იმ უცხოელი მოცილის ხელყოფისაგან, ვინაც ოქლენდშივე გასამართი სამთვიანი შესარჩევი რბოლების შედეგად გამოვლინდება.

წელს განაცხადის შეტანა **100** ათასი დოლარი ღირდა. ორგანიზატორს — ზელანდიის სამეფო საიალქნო ესკადრას ჩეკი დროზე გაუგზავნა **9** ქვეყნის **11**-მა სინდიკატმა. მათგან ორი ჭერაც ინკოგნიტოა და იქეთა კვირის ბოლოსღა გამოაშკარავდება, ცნობილ მოცილეთა სიაში კი ამერიკის თასის **141**-წლიან მატიანეში პირველად არიან რუსეთსა და ღვთისმშობლის კუნძულების (კარიბეთშია!) წარმომადგენლები.

მოცილეთა სრული სია ასეთია: დორსეთის სამეფო იახტ-კლუბი (ინგლისი), გროდე-რუას ნაოსნობის საზოგადოება (საფრანგეთი), აბერდინის ნაოსნობის კლუბი (ჰონკონგ-ჩინეთი), იაპონიის იახტ-კლუბი, სანქტ-პეტერბურგის იახტ-კლუბი (რუსეთი), ბაიონას სამეფო იახტკლუბი-ვალენსიის სამეფო ნაოსნობის კლუბი (ესპანეთი), ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს იახტკლუბები (ორივე აშშ), წმ. თომას იახტკლუბი (ღვთისმშობლის კუნძულები).

განაცხადის შეტანის შემდეგი ვადა **1997** წლის მაისია. იმ დროისთვის **200** ათასი დოლარის გადახდა იქნება საჭირო. მოსალოდნელია ბებერი ზღვის მგლების — ამერიკელი დენის ქონერისა და ავსტრალიელი ჯონ ბერთრანთის განაცხადების გამოჩენა. როგორც მასპინძელთა კომოდორი ამბობს, მისი ოცნებაა მიიზიდოს მოცილეთა სარეკორდო რაოდენობა — **14**. აქამდე ყველაზე იახტ-მრავალი **1987** წლის გათამაშება იყო, ფრიმენთლში (დას. ავსტრალია) რომ გაიმართა.

რეზო ნემსაძე

## კორუფცია ებრაულ სპორტში

ისრაელის პოლიციამ წინა კვირაში დაკითხა **27** ცნობილი მობურთალი, რაკი ეჭვად იცის, რომ ფეხბურთისა და კალათბურთის ლიგების ბევრი მატჩი ტოტალიზატორის მაფიის მითითებით მთავრდება. დაკითხულთა შორის არიან ნაკრების კაპიტანი, ფეხბურთელი კლინგერი და ცნობილი კალათბურთელები — ამერიკელი იუბენქსი და თვით დორონ ჯამჩიც. ბრალი ჯერ არავისთვის დაუდიათ, მაგრამ ყალბისმქმნელობა თუ დაუმტკიცდათ, ვარსკვლავებს ასე სამ-ხუთწლიანი პატიმრობა ელით.

შუქრი ბუნტური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29

ჩოგბურთი

# გრაფი რეკორდსმენია, მუსტერი — კრიტიკოსი
# ბრიტებმა კი ზანგების დაბრიყვება სცადეს



**შტეფი გრაფი** (1) ბერლინშია, გერმანიის პირველობეზე ასპარეზობს და მესამე წრეშიც გასულა. სამაგიეროდ, უკვე გავარდნილა წინა კვირაში მისი მძლეველი, 15 წლის შვეიცარიელი მარტინა ჰინგსი (9), ვისაც მეორე წრეში, ოთხშაბათს, 6:3, 7:5 მოუგო მსოფლიო კლასიფიკაციის 54-ე ჩოგანმა, სლოვაკმა კარინა ჰაბსუდოვამ.

ეს კლასიფიკაცია 1975 წლის ნოემბერში შემოუღიათ. მას აქეთ ჩოგბურთს მხოლოდ ექვსი დედოფალი ჰყოლია (იხ. ცხრილი; მასში ზეობის ხანა კვირებითაა დათვლილი. ორშაბათიდან შტეფი კეწერომში მოექცა ამ ცხრილს, გაუსწრო რა მარტინა ნავრატილოვას.

შტეფი ახლა 26 წლისაა, პირველი ჩოგანი კი პირველად 1987 წლის 17 აგვისტოს გახდა. მას აქეთ 186 კვირა გავიდა, ვიდრე 1991 წლის 11 მარტს მონიკა სელეში დაწინაურდებოდა.

მომდევნო ორ წელს და ორ თვეში შტეფიმა და მონიკამ დედოფლობა ექვსჯერ გაუცვალეს ერთმანეთს, მაგრამ ბოლო მონიკა დაჭრეს და სარბიელს ჩამოაცილეს. ჰოდა, ისევ გრაფის ხანა დადგა: 1993 წლის 7 ივნისიდან 1995 წლის 6 თებერვლამდე ისევ შტეფი იყო პირველი ჩოგანი.

ამასობაში არანჩა სანჩეს-ვიკარიოც დაჭაჭკაცდა და შარშანდელ 12 ივნისამდე სამჯერაც დაამხო შტეფი, მაგრამ მერე ამან ისევ იყოჩაღა და დაწინაურდა, მაგრამ სად იყო და სად არა, სელეში ასპარეზს დაუბრუნდა და საგანგებო განჩინებით ისა და შტეფი 15 აგვისტოდან თანა-დედოფლებად გამოაცხადეს მინიმუმ 6 ტურნირით ან ერთი წლით.

სელეშის პირველივე შეჯიბრი დაბრუნების შემდგომი ანგარიშით მეექვსე იქნება, მაგრამ შეღავათს უმალ განუვრცობენ მინიმუმ 14 ტურნირსა ან წელიწადნახევარამდე.

შტეფიცა და სხვებიც საფრანგეთის ღია პირველობისთვის ემზადებიან, 27 მაისს რომ დაიწყება „როლან გაროსზე". რაკი იქ თიხის მოედნებია, ევროპის სხვა სათიხნარო პირველობები, წესითა და რიგით, შესაფერი სავარჯიშო ტურნირები უნდა იყოს.

**ბობოლა ამერიკელები** სხვაგვარად ფიქრობენ. აი, ამ კვირაც უგანეს იტალიის ღია პირველობას პიტ სამპრასმა, ანდრე აგასიმ და მაიქლ ჩანგმა, რამაც ერთობ გააგულისა ავსტრიელი თომას მუსტერი, თიხაზე თამაშის დიდოსტატი რომაა.

მუსტერმა მადრიდს განუცხადა, ევროპელები ბრიყვები ვართ, ამერიკელებს დიდძალ ფულს რომ ვუხდით, ისინი კი აქ ჩამოსვლას არც კადრულობენ და თავზე დაგვსაქმებენ ხოლმეო.

ავსტრიელს ერთობ აეჭვებს ყველა ამერიკელის ერთდროული დაშავება და ვარაუდობს, თიხაზე თამაშისა ეშინიათ, ვინაიდან აქაურ ტურნირებზე პირველსავე წრეში ვარდებიანო.

სულ მთლად პირველში არა, მაგრამ რომის „ფორო იტალიკოზე" მეორე წრეშივე გავარდნენ ამერიკელები — იტალიის ორგზის ჩემპიონი ჯიმ კურიე (5) და ზანგი მალივაი ვოშინგთონი (12). კურიემ პირველ წრეში კი გააგდო იტალიელთა იმედი რენტო ფურლანი 6:3, 6:3, მაგრამ მერე 4:6, 4:6 წააგო არგენტინელ ერნან ნგუმისთან. ვოშინგთონს 7:5, 7:6 აჯობა ჭეელმა ესპანელმა კარლოს მოიამ. მართალმა მუსტერმა ორ-ორ ხელში გაისტუმრა თანამემამულე ჰერბერტ ვილტშნიგი და ჩეხი პეტერ კორდა, წინა კვირაში ჰამბურგის ტურნირის საარაკოდ მომგები ესპანელი რობერტო კარეტორო კი ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა დაამარცხა 6:3, 4:6, 7:6 (7-3)

მუსტერმა ამერიკელთა განქიქებაც გააგრძელა და ორპირობაშიც ამხილა. ხომ ცნობილი ამბავია, რომ ესენი მუსტერს ნაღდ ჩემპიონად არა თვლიან, აქაოდა სულ თიხაზე თამაშობსო. მუსტერს მიაჩნია, რომ არც ამერიკელები უნდა ჩაითვალონ დიდ მოთამაშეებად, რაკიღა ისინიც მხოლოდ ერთი ტიპის საფარზე — ხისტ ცემენტზე თამაშობენ.

| პირველი ჩოგნები | | |
|---|---|---|
| შტეფი გრაფი | გერმანია | 332 |
| მარტინა ნავრატილოვა | ჩეხოსლოვაკია აშშ | 331 |
| ქრის ევერტი | აშშ | 262 |
| მონიკა სელეში | იუგოსლავია აშშ | 152 |
| ტრეისი ოსთიინი | აშშ | 22 |
| არანჩა სანჩეს-ვიკარიო | ესპანეთი | 12 |

**წელს** დიდი რეზონანსი მოყვა შვედთა მიერ ინდოეთის შეურაცხყოფას. შვედებს დევისის თასზე სათამაშოდ ინდოეთის ჩასვლა არ სურდათ და დიდი კამპანიაც გააჩაღეს, მაგ ქვეყანაში არც ჰავა ვარგა და რაიმე უკურნებელი სენიც შეგვეყრებაო.

ისტორია მეორდება: ბრიტანელებს არა სურთ ივლისში განაში სტუმრობა და სიშორეს, აცრების აუცილებლობასა და შესაძლო დასნეულებას იმიზეზებან. ჭკვიან ევროპელებს შეუთავაზებიათ ზანგთათვის, თუ აკრას ნაცვლად უიმბლდონში გვეთამაშებით, ყველა ხარჯს ჩვენ გიზღავთო.

განის ჩოგბურთის ასოციაცია არ გაბრიყვდა და თავაზიანად შეუთვალა ბრიტანეთისას, გვსურს, დიდი მატჩი ჩვენმა მაყურებელმა თვალდათვალ რომ იხილოსო. სამაგიეროდ, გაილაღა მედიამ და დაწერა, ჩვენთან გავრცელებულ ავადობებს სულაც რა შეუშლიათ ხელი ინგლისელთათვის, როცა გვიპყრობდნენო. მავანმა ჟურნალისტმა კი ასეც იხუმრა, განა რომ კვლავაც ყიდულობს ბრიტანეთიდან ძროხის ხორცს, იქაურ ჩოგბურთელებს ამიტომ ეშინიათ ჩვენთან სტუმრობა, ემანდ ჩვენთან დაყადაღებული, საქონლის ცოფით დასნებოვნებული საკვები არ შემოგვაპარონო.

ირაკლი ნინუა